577/3 w 7795

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 6 (1435), პარასკევი, 5 თებერვალი 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | „ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО"—ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ხელოვანის წმინდა მოვალეობა

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ენერგია, მისი სულიერი ძალები მძლავრად იფურჩქნება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დადგა მისი სრული აყვავების ოქროს ხანა.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მწერალს და მხატვარს, კომპოზიტორსა და თეატრის მოღვაწეს შემოქმედებითი მუშაობის ფართო ასპარეზი გადაუშალა, ხოლო იმ მიღწევებმა, რაც საბჭოთა ხალხმა განვლილი წლების მანძილზე სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მოიპოვა, მხატვრული აზროვნების ყველა დარგის უსაზღვრო განვითარების ყველა პირობა შექმნა.

საბჭოთა ხალხს ნამდვილად შეუძლია იამაყოს თავისი მწერლობითა და ხელოვნებით. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი განუყრელად არიან დაკავშირებულნი ხალხთან, ღრმად სწავლობენ და ასახავენ მის ცხოვრებას. ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები მძლავრად, სიმართლითა და შთამაგონებლად მოგვითხრობენ ჩვენი მამებისა და ჩვენი თაობის საგმირო და სახელოვან საქმეებზე. ეს ნაწარმოებები სულიერად ამაღლებენ მკითხველებს და წინ მიუძღვიან მათ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ჩამაცურ ბრძოლაში. მოწინავე საბჭოთა ადამიანის — სამშობლოსათვის თავდადებული გმირისა და მოქალაქის სახეები, რომლებიც შექმნეს ჩვენმა მწერლებმა და ხელოვნების მოღვაწეებმა, მარად შეინარჩუნებენ შთაგონების ძალას.

ეს კიდევ ცოტაა. ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ახალ სიტყვას ეუბნება მსოფლიოს, ისინი აცნობენ კაცობრიობას სოციალისტური სამყაროს ნათელ იდეალებს და დიდ როლს ასრულებენ მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში.

საბჭოთა მხატვრული აზროვნება უსაზღვროდ კეთილმყოფელ გავლენას ახდენს მსოფლიო კულტურაზე. სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების ხალხურობის, მისი რეალიზმის მაღალი პრინციპები სულ უფრო ფართოდ ვრცელდება, სულ უფრო მეტად ეუფლება დედამიწის ყველა კუთხის პროგრესულ შემოქმედთა გონებას.

კომუნისტური პარტიის განუხრელი ზრუნვით იზრდება ნიჭიერი შემოქმედებითი ახალგაზრდობა, რომელიც ძველი თაობის ოსტატებთან ერთად მთელ თავის ნიჭსა და უნარს შეგნებულად ახმარს ხალხს, სოციალისტური ჰუმანიზმის იდეალებს. ჭეშმარიტი შემოქმედებითი თავისუფლების პირობებში იზრდებიან და წინაურდებიან სულ სხვადასხვაგვარი, მხატვრული ინდივიდუალობის მქონე ტალანტები, რომლებიც იდეურად ამდიდრებენ და მხატვრულად მრავალფეროვანს ხდიან საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას.

მაგრამ საბჭოთა ხალხს არ სჩვევია წარმატებებით თვითკმაყოფილება და მოპოვებულ მიღწევებზე შეჩერება. ჩვენი საზოგადოების წინსვლა, მისი კულტურის განვითარება სულ უფრო ახალ, გაზრდილ ამოცანებს სახავს. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გრძნობა, რომელიც ჩვენში ოქტომბრის რევოლუციამ გამოიმუშავა, საშუალებას გვაძლევს მუდამ ფხიზლად ვაფასებდეთ მდგომარეობას, თვალწარმტაც მიღწევებთან ერთად ნათლად ვამჩნევდეთ ნაკლოვანებებს და განუხრელად ვიბრძოდეთ ახალი აღმავლობისათვის.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ეს ნაცადი ძალა განსაკუთრებით გვესაჭიროება ახლა, როცა მთელ ხალხთან ერთად ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციებიც ემზადებიან ორი დიდი ისტორიული თარიღის — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად. მთელი მხატვრული ინტელიგენცია გამსჭვალულია იმის მისწრაფებით, რომ რაც შეიძლება ფართოდ და მხატვრულად სრულყოფილ ფორმაში გამოხატოს განვლილი გმირული დღეებისა და დღევანდელობის სიდიადე, სიმართლით და დამაჯერებლად გვიჩვენოს, თუ როგორ იცვალა სახე მარტო ქვეყანამ, პეიზაჟმა კი არა, არამედ თვით ხალხმა, ხალხის მასების სულიერმა წყობამ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კულტურული რევოლუციის წლებში სრულიად სხვანაირი გახდა მშრომელი მასების გონებრივი ჰორიზონტი. საბჭოთა მუშასა და კოლმეურნეში ხშირად შერწყმულია შრომის ადამიანისა და საბჭოთა ინტელიგენტის თვისებები, თანდათან იშლება ზღვარი ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის, რაც მხატვრული ინტელიგენციის წინაშე ახალსა და გაზრდილ ამოცანებს აყენებს. „ხალხის ახლანდელი კულტურა, მისი უმაგალითოდ მზარდი სულიერი მისწრაფებანი მოითხოვენ, დაბეჯითებით მოითხოვენ ლიტერატურისა და ხელოვნების ხარისხის გაუმჯობესებას, მათი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას" („პრავდა").

მხატვრული აზროვნება ყოველთვის დროის შესაფერის დონეზე უნდა იდგეს, ყოველთვის გამსჭვალებული უნდა ჰქონდეს მას მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა. შორს რომ არ წავიდეთ და არ გავიხსენოთ ჩვენი დიდებული კლასიკოსები, რომლებიც ზედმიწევნით გამოხატავდნენ ხალხის ინტერესებს და ამ ინტერესებისათვის ბრძოლაში არაფერს არ ზოგავდნენ, ოქტომბრის რევოლუციის პირმშო მწერლობამ თავისი განვითარების გზაზე ხალხისათვის სამსახურის დიადი ტრადიცია შექმნა. ხალხურობის ნათელი ტრადიციებით არის გაცისკროვნებული საბჭოთა თეატრის, მხატვრობისა და მუსიკის მიერ განვლილი გზაც. საბჭოთა შემოქმედი დიდ მოქალაქეობრივ მოვალეობასთან ერთად არასოდეს არ ივიწყებდა მხატვრულ ოსტატობას, ყოველთვის სწორუპოვრად მიილტვოდა თავისი ძირითადი იარაღის, გამოსახვის საშუალებათა სრულყოფისაკენ.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისა და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება შემოქმედებითი ორგანიზაციების ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენაა, იგი ახალი, მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობის სათავედ უნდა გადაიქცეს. ამ ორი თარიღისათვის მზადების ღონისძიებებმა ნამდვილად უნდა გამოიწვიოს ლიტერატურისა და ხელოვნების ხარისხის გაუმჯობესება, მათი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლება.

შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა დარაზმონ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები და ყოველნაირად ხელი შეუწყონ მათ შემოქმედებითი გეგმების განხორციელებაში.

დრო, რომელიც დარჩენილია ამ თარიღებამდე, საკმარისია იმისათვის, რომ საფუძვლიანად მოვემზადოთ. ყოველ მწერალს, კომპოზიტორს, თეატრისა და სახვითი ხელოვნების ყოველ მუშაკს სრული შესაძლებლობა აქვს ღირსეულად მოიხადოს ვალი თავისი ხალხის წინაშე, შექმნას მაღალიდეური და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებები, ჭეშმარიტ შემოქმედებით წარმატებას მიაღწიოს და საუკეთესო ქმნილებებით გაამდიდროს ჩვენი მხატვრული კულტურა.

ოქტომბრისა და ლენინის თემა მეტად ფართოა. იგი მოიცავს მთელი ჩვენი ხალხის განვლილ და დღევანდელ ცხოვრებას თავისი რთული მოვლენებით. ამ თარიღებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში უნდა აისახოს სოციალისტური ცხოვრების მთელი რომანტიკა, საბჭოთა ადამიანების სულიერი სიმდიდრე და სილამაზე, შემოქმედის ოსტატობა და მხატვრული ინდივიდუალობა.

ამ თარიღებისათვის უნდა გამოვცეთ ცალკეულ ავტორთა წიგნები და კოლექტიური კრებულები. მათ უნდა მივუძღვნათ მხატვართა პერსონალური და კოლექტიური რესპუბლიკური გამოფენების სერიები, მუსიკალური გაზაფხულები.

ყველა შემოქმედებითი ორგანიზაციის, ყველა ხელოვანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა ამ ორ დიდ თარიღს ღირსეულად შეხვდეს.

მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიის მეორე ტომი

ამ დღეებში მოსკოვში გამოვიდა მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიის მეორე ტომი. ტომში შესულია ორი ათასამდე სტატია, მათგან ხუთასი ეძღვნება საბჭოთა მწერლებს.

ტომში ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული ლიტერატურა. მოთავსებულია ვრცელი მიმოხილვითი სტატიები ქართული ლიტერატურისა და ქართული ენის შესახებ, დაბეჭდილია აგრეთვე წერილები გ. მერჩულეზე, დ. გურამიშვილზე, ს. დოდაშვილზე, ი. გოგებაშვილზე, ი. ევდოშვილზე, შ. დადიანზე, ი. გრიშაშვილზე, კ. გამსახურდიაზე, მ. ჯავახიშვილზე, ვ. გაფრინდაშვილზე, რ. გვეტაძეზე, ბ. ჟღენტზე, დ. გაჩეჩილაძეზე, გ. გაჩეჩილაძეზე, ა. გაწერელიაზე, დ. გულიაზე, გ. გულიაზე და სხვ.

ენციკლოპედიის ამ ტომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი უცხოურ ლიტერატურას— განხილულია ბერძნული, დანიური, ეგვიპტური ლიტერატურა, დაბეჭდილია სტატიები ჰაინეს, გოეთეს, გოლდონის, ჰიუგოს, დანტეს, დეფოს, დიდროს, დიკენსის, ზოლას და სხვათა შესახებ.

საინტერესოა განყოფილებები და წერილები: „ლიტერატურის თეორია", „საბავშვო ლიტერატურა", „დეკაბრისტული პოეზია".

ენციკლოპედიის მესამე ტომის გამოცემა განზრახულია მიმდინარე წლისათვის.

ცნობები მოსკოვიდან

პოეზიის დღის ნაცვლად — კვირეული

ამ დღეებში რსფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის სამდივნოს სხდომამ მოისმინა და განიხილა 1964 წლის პოეზიის დღის შედეგები. გასული წლის დეკემბრის მეორე ნახევარში მოსკოვში წარმატებით ჩატარდა პოეზიის დღე. ამ დღეს დედაქალაქის ჩვიდმეტივე რაიონში გაიმართა პოეტური საღამოები და მკითხველთა კონფერენციები. სხდომამ აღნიშნა, რომ მეტად დიდია მკითხველთა სურვილი, შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის რაც შეიძლება ბევრ პოეტს. ამის გამო, გამოითქვა აზრი, რომ პოეზიის დღის ნაცვლად, რომელიც გასულ წელს მოსკოვში მეათედ ჩატარდა, 1965 წელს მოეწყოს პოეზიის კვირეული.

ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების გამოცემა

მოსკოვის გამომცემლობა „მუზიკას" გეგმაში გათვალისწინებულია ქართველი კომპოზიტორების ბევრი ნაწარმოების გამოცემა, მათ შორის ანდრია ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული", ოთარ თაქთაქიშვილის, შალვა მშველიძის, დავით თორაძის ოპერები, ბიძინა კვერნაძის, რევაზ გაბიჩვაძის სიმფონიები, გ. ყანჩელის კონცერტი ორკესტრისათვის. „მუზიკა" გამოსცემს აგრეთვე ა. მაჭავარიანის, ს. ცინცაძის, ს. ნასიძის, შ. მილორავას, ა. მამისაშვილის, ო. გორდელის, ნ. გაბუნიას, ა. შავერზაშვილის, ო. თევდორაძის და სხვათა სიმფონიურ, კამერულ და ვოკალურ ნაწარმოებებს.

გ. ასათიანს გადაეცა ლომონოსოვის პრემია

ამ დღეებში ლომონოსოვის პრემიების კომიტეტში მეორე ხარისხის საპატიო დიპლომი და სამახსოვრო მედალი გადაეცა საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს გ. ასათიანს.

გ. ასათიანს ლომონოსოვის პრემია მიენიჭა როგორც სცენარის ავტორს, რეჟისორსა და ოპერატორს საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარული ფილმისათვის — „ძველი კულტურის ქვეყანა", რომელიც გამოუშვა საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდიამ.

ქართველი რეჟისორის დადგმა

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ა. გამსახურდია მიიწვია მოსკოვის მოზარდმაყურებელთა თეატრმა. ქართველი რეჟისორი დასადგმელად ამზადებს ფ. კნორეს პიესას „მამა". მაყურებელთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობს კნორეს სცენარის მიხედვით შექმნილი ფილმი „მშობლიური სისხლი". დრამატურგმა პიესა თავის იმავე მოთხრობიდან შექმნა, რომლის მიხედვითაც სცენარი დაწერა.

სპექტაკლის მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ტალალაი. ა. გამსახურდია ამავე დროს მუშაობს მოსკოვის მოზარდმაყურებელთა თეატრის სტუდიაში. ქართველი რეჟისორი სტუდიაში ხელმძღვანელობს მსახიობის ოსტატობის ჯგუფს.

მოძმე სომხეთში

მწერლები მეცნიერებათა აკადემიაში

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოაქვეყნა ნამდვილი წევრობისა და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა სია. კანდიდატები წამოაყენეს სამეცნიერო დაწესებულებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა და ცალკეულმა პირებმა.

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატად წაყენებულია უხუცესი სომეხი მწერალი სტეფანე ზორიანი, რომელმაც სომხურ ენაზე თარგმნა ვაჟა-ფშაველას, შიო არაგვისპირელის, კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებები. ნამდვილი წევრობის კანდიდატად წარდგენილია აგრეთვე ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი კარაპეტ მელიქ-ოჰანჯანიანი, ხოლო წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად — მწერალი ჰრაჩია ქოჩარი და ლიტერატურათმცოდნეები გურგენ ონანი და რუბენ ოვანესიანი.

დაიდგა ქართული პიესები

ამას წინათ ლენინაკანის ასკანაზ მრავიანის სახელობის დრამატულ თეატრში დაიდგა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესა „მე ვხედავ მზეს", ხოლო კიროვაკანის ოვანეს აბელიანის სახელობის დრამატულ თეატრში მაყურებელმა ნახა კ. ბუაჩიძის პიესა „ეზოში ავი ძაღლია".

სომხმა მაყურებელმა ორივე პიესა გულთბილად მიიღო.

ა. მხითარიანი

ქართული მხატვრობა ერევანში

1963 წლიდან მოძმე რესპუბლიკების ქალაქებში მოგზაურობს ქართველ ფერმწერალთა, სკულპტორთა, გრაფიკოსთა და კერამიკოსთა გამოფენა. იგი ნახეს ლატვიის, ესტონეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ჩრდილოეთ-კავკასიის მშრომელებმა. ექსპონატები, რომლებიც ამჟამად რვაასამდეა, დროდადრო იცვლება. ხშირად ემატება ახალი ნამუშევრები. ამ მოძრავმა გამოფენამ მნახველები დიდად აღაფრთოვანა.

ახლახან ქართველ მხატვართა მოძრავი გამოფენა მოძმე სომხეთის დედაქალაქ ერევანსაც ეწვია. აქ წარმოდგენილია როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის მხატვართა ნამუშევრები. დამთვალიერებელთა საყოველთაო აღფრთოვანება დაიმსახურა ცნობილი ოსტატებისა და ახალგაზრდა მხატვრების უ. ჯაფარიძის, ლ. გუდიაშვილის, ელ. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, ვ. თოფურიძის, ნ. კანდელაკის, კ. მერაბიშვილის, კ. სანაძის, გ. გელოვანის, გ. ოჩიაურის, ე. ამაშუკელის, თ. მირზაშვილის, დ. ნოდიას და სხვათა ტილოებმა.

ქართველი მხატვრების მოძრავი გამოფენა ერევნიდან შუა აზიის ქალაქებში გადაინაცვლებს.

თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების კვირეული

მოსკოვში დიდი წარმატებით ტარდება თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების კვირეული.

1 თებერვალს კლუბ „ალმაზში" ჩატარდა თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა კონცერტი. მეორე დღეს საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში გაიმართა თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი საღამო. 3 თებერვალს მოსკოვის ახლოს მდებარე ქალაქ რეუტოვში თურქმენეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები შეხვდნენ საფეიქრო საწარმოების მუშაკებს, ხოლო კომპოზიტორთა საკავშირო სახლში გაიმართა თურქმენული მუსიკის საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თურქმენეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ახმედოვმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ყულიევამ, თურქმენეთის სსრ სახალხო არტისტებმა ა. ანნაყულიევამ, ს. ანაევმა, თურქმენეთის რადიოსა და ტელევიზიის სახალხო ინსტრუმენტების ანსამბლმა და სხვ.

თურქმენული პოეზიის დიდი საღამო გაიმართა 4 თებერვალს, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში. საღამოში, რომელსაც თავმჯდომარეობდა ა. სალინსკი, მონაწილეობა მიიღეს ბ. სეიტაკოვმა, რ. ალიევმა, ჩ. აშიროვმა, კ. ზებიროვმა, ა. კეკილოვმა, ბ. ქერბაბაევმა, შ. სეიდოვმა, ყ. სეიტლიევმა, ბ. ხუდაინაზაროვმა, ტ. ესენოვამ და ბევრმა მოსკოველმა პოეტმა.

„ოქროს ფერია" — საბჭოთა ფილმს

პრიზი „ოქროს ფერია", რომელიც მონტე-კარლოში ყოველწლიურად გამართულ ფესტივალზე ენიჭება წლის საუკეთესო სატელევიზიო ფილმს, სხვადასხვა ქვეყნის სხვა რამდენიმე ფილმთან ერთად მიიღო საბჭოთა ფილმმა „ზამთრის მუხა". (სცენარის ავტორი ი. ნაგიბინი, რეჟისორი და ოპერატორი კოჩინი).

მზადება თემატური გამოფენისათვის

ქართველი მხატვრები გაცხოველებით ემზადებიან თემატური გამოფენისათვის, რომელიც მალე დედაქალაქის სამხატვრო გალერეაში გაიხსნება. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და წითელი არმიის შექმნის დიდ დღესასწაულს მიეძღვნება.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ფერწერული, სკულპტურული და გრაფიკული ნამუშევრები. დამთვალიერებლები ნახავენ ამ უკანასკნელ ხანებში შექმნილ ნაწარმოებებს.



ქვიშხეთი. მხატვარი დ. წერეთელი.

გამოიცემა ცხინვალში

სამხრეთ ოსეთის საგაზეთო-საჟურნალო გამომცემლობის წიგნის სექტორი 1965 წელს მრავალ საინტერესო წიგნს მიაწვდის მკითხველებს. პირველი ოსური ბეჭდური წიგნის გამოსვლის ასი წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდება პირველი ოსი პოეტის თემირბოლატ მამსუროვის ლექსების წიგნი. დიდი ტირაჟით გამოვა ა. ვოინოვას „თამარი და დავითი", რომელიც ასახავს თამარის მეფობის დროინდელ საქართველოს ცხოვრებას.

მიმდინარე წელი „მოსავლიანი" იქნება ნიჭიერი ოსი მწერლის ნ. ჯუსოითისათვის. გამოქვეყნდება მისი რომანი „მეგობრობა", რომელშიც მოთხრობილია ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, რომელსაც სამხრეთ-ოსეთის გლეხები ქართველ მშრომელებთან ერთად აწარმოებდნენ. ეს არის ოსი ხალხის წარსულის ამსახველი პირველი ისტორიული რომანი. გამოქვეყნდება ამავე ავტორის ორი ნოველა „მიწა—სიცოცხლის წყარო" და „სიყვარულის პოემა". ეს უკანასკნელი გადმოგვცემს თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას, სოფლის ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლების სულიერ სილამაზეს.

დაიბეჭდება ნ. ჯაგლოევის ისტორიული ნარკვევები, ვ. სანაკოევის, ნ. კაბისოვის, ნ. გალავანოვის, ე. ბეჟულოვის, გ. გაგიევის მოთხრობები, ა. ფუხაევის, ფ. ფლიევის, ა. თედეევის ლექსების კრებულები და სხვ.

მიუძღვნეს დიად თარიღებს

ვ. ი. ლენინის დაბადების ასი და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავისათვის მზადებას მიეძღვნა ლიტერატურული საღამო, რომელიც ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის კლუბში გაიმართა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა გივი ჩუბინიძემ. მოხსენება — ვ. ი. ლენინი და ოქტომბერი საზღვარგარეთულ პროგრესულ პოეზიაში — წაიკითხა კრიტიკოსმა სიმონ არველაძემ.

სიტყვებით, საკუთარი ნაწარმოებების და უცხოელი პოეტების ლექსების თარგმანების კითხვით გამოვიდნენ მწერლები დავით კაცარიძე, გიორგი სამხარაძე, არჩილ გერჟაძე, ლილი ნეცუბიძე, ახალგაზრდა პოეტი ამირან გვილავა.

მთების ძახილი

პალატაში სიჩუმე სუფევდა. მამაკაცი ჭერს მისჩერებოდა. მისი სხეული უმოწყალოდ დაეფლითა ომის ქარიშხალს. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე იყო მარტოობის ატანა. დროდადრო მთებზე ფიქრობდა. ცარგვალის ქვეშ აზრწყინვალებული მწვერვალები, ხეობებში დაკიდებული ნაკადულები, მწვანე ტაფობები თავისკენ უხმობდნენ... მთებზე ფიქრმა სიმშვიდე მოჰგვარა. იგრძნო როგორ აიშვა მკერდმა, გამოჯანსაღდა.

ეს იყო დიდი ხნის წინათ.

დღეს კი ის შორეული დღეები რატომღაც გაცოცხლდა, რატომღაც აიშმუშნა გონებაში, და ახმიანდა.

მთები მეძახის.

მესმის მათი ჯადოსნური, დაუვიწყარი მელოდია.

მთები განთიადისას განსაკუთრებით მომხიბვლელი ჩანან. ამ დროს ყველაფერი სინათლისაკენ მიილტვის. ჯერ კიდევ არ ანთებულა, თოვლიანი მწვერვალები კი ამაყად წამომართულან, როგორც მიწის ფანტასტიკური ბუმბერაზი გუშაგები — მთები ესალმებიან დღის დაბადებას. აი, ციცაბოდან თეთრ ქაფქაფა ჩანჩქერად იმსხვრევა ნაკადული, წყალვარდნილზე შვიდფერი ცისარტყელა გადაიხიდა. იქვე მოზოზინე ნისლის მაქმანიდან გამოჩნდა ძირს დაქანებული მწვანე ფერდობი, შორეული თხემი.

მთები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან თავიანთი სიდიადით, მწვერვალთა თვალისმომჭრელი სითეთრით.

მთები ხან აპობენ ყველაზე მაღალ ღრუბლებს, ხან ინთქმებიან ნისლის თეთრ ზღვაში, ხანაც გაიწევიან და მკერდში ჩახუტებულ მწვანე მინდორს გამოაჩენენ.

საყვარელო, მშობლიურო მთებო, განა არის ისეთი გული, რომელიც სიხარულით არ აძგერდება თქვენთან შეხვედრისას?! განა არის ისეთი სული, რომელიც არ გამოეპასუხება თქვენს ძახილს?! ვინც ერთხელ მაინც გაიგონა ეს ძახილი და იგრძნო მთების მიმზიდველი სუნთქვა, ის სამუდამოდ გახდება მთების ტყვე.

მთები მრავალნაირია, ყველა მათგანს თავისი სახე აქვს და განსაკუთრებული, განუმეორებელი იერი. ზოგი მხიარულად, ნაკადულებისა და ბალახთა ჩურჩულით გვხვდება, ზოგი კი მდუმარედ დგას, თითქოს რაღაც საიდუმლოს მალავს, ხან მწარედ ქვითინებს ქარისა და წვიმის დაუოკებელ ნიაღვარში.

ვისაც მთათა ხმა ესმის, ვისაც მისი ჯადოსნური მელოდია ესმის, მან იცის, რა ლაღად ზეიმობს სიცოცხლე. ასეთ დროს განგაცვიფრებს მიწის სილამაზე, მისი განუყოფელი ერთიანობა. მთელი შენი არსება სავსეა აღტაცებით და ამ მშვენიერი სამყაროს წინაშე მოწიწებით იხრი ქედს.

საუკუნეები მისდევენ საუკუნეებს, ათასწლეულები-ათასწლეულებს, მრისხანე და გოლიათი მთები კი ისევ ისე მშვიდად და ბრძნულად დაჰყურებენ მიწას, მთები—ისტორიის უტყვი მემატიანენი, ადამიანთა ათასობით თაობის სიცოცხლისა და შრომის, ბრძოლისა და ტანჯვის მოწმენი.

ლაპარაკი რომ შეეძლოთ, მთები რამდენ საკვირველსა და საიდუმლოს გვამცნობდნენ! მათ შეეძლოთ მოეთხროთ ადამიანისა და სტიქიის გმირული ეპოპეა, ეთქვათ, თუ როგორ იბადებოდა და იზრდებოდა სიყვარული მთებსა და ადამიანებს შორის. კავკასიონის მრისხანე ბუმბერაზებმა ხომ ოდითგანვე გაუხსნეს გული ჩვენს ხალხს!

ბევრი, ძალიან ბევრი რამ მეტყველებს ადამიანისა და მთების მეგობრობაზე. მთები საიმედოდ იფარავდნენ ადამიანებს მტრებისაგან, ისინი თავისუფლებისა და სიცოცხლის ურღვევი ბურჯები იყვნენ. ხოლო ადამიანებმა მთები სასწაულებრივი ქალაქებით, ეკლესიებით, ციხე-სიმაგრეებით დაამშვენეს...

საუკუნეებში გაჭაღარავებულა ჯვარი და ნარიყალა, აწყური და ანანური. თითქოს მთებმა შობეს ისინი, მთების მრისხანე სხეულიდან ამოიზარდნენ და მთებისავე წაურეცხავ მკაცრ ხატებას ატარებენ. როგორ ღრმად უნდა სცოდნოდათ და ჰყვარებოდათ ბუნების სილამაზე ძველ მშენებლებს, რომ ასე ორგანულად შეეხამებინათ ნაგებობათა არქიტექტურული სახე გარემოსთან, პეიზაჟის თავისებურებასთან.

ძნელია ჩამოთვალო ყველა ის ცვლილება, რაც მთებში მოხდა ამ უკანასკნელ წლებში. ახლა შეუძლებელია მთა ისე წარმოიდგინო, რომ ციცაბოზე გადაჭიმული ელექტროგადამცემი ხაზები და ცასთან მოსაუბრე, აკვიატებული სატელევიზიო ანძები, უფსკრულებზე გადახიდული გაზსადენები და ხეობებში ქამანდივით ატყორცნილი ბეტონის გზები არ მოგაგონდეს. თვით დასაბამიდან ხელშეუცვლელი მთის პეიზაჟიც სხვა გახდა. მთებში ბეჭდის ლურჯი თვალივით ჩაჯდა ხელოვნური ზღვები. მხიარულად დაჰფრინავენ ტალღებს მანამდე ამ მხარეში უცნობი, თეთრი თოლიები.

ახალი ფერებით აჭრელდა ფერდობთა სამოსი. რა შეედრება ჩაის ბუჩქების მუქ-მწვანე ხავერდს? ოქროვანი ნაყოფით დატვირთულ სუბტროპიკულ ბაღებს?

მე ვფიქრობ მთების ჯადოსნურ სილამაზეზე, იმაზე, თუ რატომ არიან ისინი ასე ძვირფასი ყველა ჩვენთაგანისათვის. ეს, ალბათ, იმისათვის, რომ მთები ჩვენი დედასამშობლოს ნაწილი და მისი სიდიადის, უკვდავების სიმბოლოა. და მე არ შემიძლია არ ვიფიქრო სამშობლოს იმ შვილებზე, რომლებმაც აქ, კავკასიის მთებში, ისე როგორც ათასობით კილომეტრის იქითაც, არად ჩააგდეს სიკვდილი და მკერდით გადაუღობეს გზა მომხდურებს. მწვერვალებისა და უღელტეხილების თოვლის ქალწულებრივ სითეთრეში გამოსჭვივის გმირთა სისხლის წითელი ფერი. ეს ფერი მოგვიწოდებს ჩვენ, ცოცხლებს, მამაცობისა და გმირობისაკენ.

...ლაღი ქარი ფრთებს შლის ქედებზე და მწვერვალებზე, ფრთებს შლის და ცამდე აქვს მთების სიმღერა, სიცოცხლის, სიხარულისა და მიწის განახლების სიმღერა.

ბორის შატბერაშვილი

განვიხილავთ რუსთაველის პრემიაზე წარდგენილ ნაწარმოებებს

პოეტური სპექალი

შალვა ნუცუბიძე

ირაკლი აბაშიძის შემოქმედების ტრიუმფი და უმაღლესი მწვერვალია პოეზიის „ეს ხნული", რომელშიაც უბადლო მარგალიტებია თავმოყრილი. მან იმთავითვე აახმიანებდა გულის სიმებზე აჟღერებული საიდუმლოს ამოცნობა, მაგრამ ამ ხილვებს, ამ ტკივილებს, ამ წვდომას და მის თქმას ირაკლი აბაშიძემ ამ პატარა კრებულში მიაღწია.

პალესტინის თემამ, როგორც საკაცობრიო ძეგლმა ხან მართალმა და ხან მტყუანმა, მოულოდნელად კი არც ერთმა და არც მეორემ, ისეთ სიმებს მიაგნო პოეტის გულში, სადაც თქმა გმირობად იქცა და ნათქვამი — სიბრძნედ. თურმე ეს იყო ი. აბაშიძის შემოქმედება რომ ეძებდა: სამშობლოში ანთებული ცეცხლის ნაპერწკლებს გაბნევა უცხოეთში, წინ რუსთაველის სინათლე მიუძღოდა და გზას მისი ნაკვალევით იკვლევდა, ქართულ სავანეში მისი „ხმები" ხიბლავდნენ მოგზაურს, ალხარულ მოუწროდ და ლექსი ხავაჩენებოდ აეღერა.

გასაგებია, — ირაკლი აბაშიძის პოემა კი არ მეტყველებდა — რეკავდა. გასაგებია, რომ მან „ციდან ჩამოესმა რეკვა". მიწაზე დაღებული ზარი ჯერ არავის დაურეკავს. საჭირო იყო დიდი სამრეკლო. ეს სამრეკლო მისთვის პალესტინა იყო. აქედან მან დარეკა და მას ვარძია და ხერთვისი და პონტოს კარზე მიჯაჭვული საქართველო, „უსასრულო აღმოსავლეთად" ქცეული საზეიმო და მემზეური, აღტკინებული და დაღინებული, მთლიანად ემთარება.

ყოველი ლექსი დამთავრებული შემოქმედებითი ფენომენია. ფორმა და შინაარსი იშვიათი ხელოვნებით არის ერთი მეორესთან გადაჯაჭვული. შეკუმშული ლექსის სტროფები იმ დიდი უხილავი კიბის საფეხურებია, ზეცისა და მიწის შუა აღმართულ იერარქიულ საფეხურზე ამოყვეთილი, რომლითაც რუსთაველის შემოქმედება კოსმიურ განფენილობას აღწევდა. ამ საფეხურების გაწყვეტის რით რუსთაველი ალექსანდრულისას „სინაყის თვისის ცას შესცქეროდა", როცა მას „სწამდა", რომ ეს საფეხურები მას არ უღალატებდა, და „ხეროდა" მათივე ხედვით —

ცოდვა არცოდვის
ჭეშმარიტი
სად ძევს საზღვარი.

ირაკლი აბაშიძის თითოეული ლექსი თავისი შინაარსით სიბრძნეშია გადახული. ეს კრებული ვეებერთელა მიზანდასახულობაა. იგი ისწრაფვის რუსთაველის მიერ მისი საკუთარი აზროვნების პოეტურ გადმოცემად. ამდენად იგი თავიდან ბოლომდე იდეურია, მსგავს ამოცანას ისახავს. იგი პოეტის აღსარებაა, „ცოდვათა შემსუბუქება შენ თანა წარმატებისა". ამდენად იგი პოეტური ტრაქტატია, ჩვენება — ახსნა რუსთაველის ზრახვათა და გონებათა. უკან მოხედვა ცამსა აღსარულისასა, იგი, მართალია, რადგან ეს აღსარებაა თავისთავისა და ღმერთის წინაშე, რაც იგივე თავისთავისა, რადგან—

შენ ჩამაგონე ზეციური
„ღმერთი შენშია".

აქაა მიღწეული ირაკლი აბაშიძის მიერ უზადოთ მიკვლეული სულიერი აღნაგობა რუსთაველისა — პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისეს) მიერ მოყვანილი იგივეობა ღმერთისა და ადამიანს შორის (მოძღვრება „თეოზისისა" — ადამიანის გაღმერთების — შესახებ). ეს სტროფი ლექსისა ამ კრებულში შედევრია. საქმის დიდი ცოდნით, ერუდიციით, აზრის გამართვით და უცილა ამის უბადლო ტიხილი (იერარქიული) ლექსში გადმოცემით.

ადამიანის და ღმერთის ანგარიშის გასწორებას პოეტი ადამიანის სასარგებლოდ სახავს. „მიზანთ-მიზანი უმაღლესი რწმენითაა ნახული". ეს უკვე განსაცვიფრია ღვთაებისა, რადგან იგი დამტკიცებული ჭეშმარიტება კი არაა, არამედ „რწმენით ნახული". ირაკლი აბაშიძე ეხება და არკვევს ერთ უდიდეს ფრაგმენტს რუსთაველის მსოფლგაგებაში. ის ათქმევინებს რუსთაველს:

შენმა განგებამ
შენმა მცნებამ
მართლად წარმმართა,
შენ ამაზორე
ბინეირი
წარუვნა წარმართთა,
შენ ჩამაგონე ზეციური:
„ღმერთი შენშია".

მაგრამ, როდესაც ასეთი დახმარებისათვის ღმერთი მოითხოვს განუსჯელ თაყვანს, რუსთაველი არ ნებდება ღმერთს და უპასუხებს მას:

მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.

ამდენად ვედრება ყველაზე გადაქცეული და მიუხედავად შეპარებული ტონისა, რუსთაველი მაინც ღმერთის ურჩადაა დახატული. ამასთან აღსანიშნავია რუსთაველის ხედვა, როდესაც ის მიმართავს ღმერთს:

მიზანთ-მიზანო უმაღლესო,
რწმენით ნახულო.

ეს „მიზანთ-მიზანი" უდრის არეოპაგიტულ „მიზეზთ-მიზეზს". აქ განსხვავება იმაშია, რომ „მიზეზთ-მიზეზი" ზემოდან ხედვაა, ხოლო ადამიანის ხედვა ქვემოდან „ისწრაფვის" პირველ მიზეზის სასრულისაკენ და ამდენად იგი მისთვის მაღალი მიზანი, ანუ მიზანთ-მიზანია.

საგანგებოდ აღსანიშნავია ასეთი ერუდიციული წვდომა რუსთაველის სულისკვეთების გადმოცემისა ირაკლი აბაშიძის ლექსში. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსად დაწერილი ტრაქტატია, დიდი ცოდნითა და ოსტატობით შესრულებული, სადაც მძიმე აზრები არ ავიწროვებენ ლექსს და ლექსი არ აუხტებს აზრის სიმკვეთრეს.

ირაკლი აბაშიძის ეს კრებული იმდენად რთული მოვლენაა, რომ მასზე მთელი გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს. მე ვეხები მხოლოდ ცოტა რამეზე შეჩერება, სადაც ძლიერად ლექსი ღრმა ცოდნას სავსებით ემთხვევა.

ასეთივეა ამ კრებულის სხვა ადგილებიც. იშვიათია ღვთაებასთან პაექრობის მოტივი (ლექსში „ხმა ჯვარის მონასტერში").

რუსთაველი მიმართავს ღმერთს:

მე შენს დიდ კანონს,
დიდ განგებას
როდის გარდავულ,
როდის დავაკელ
სითბო ლოცვას,
ლოცვას მონებრივს,
მაგრამ თუ ზოგჯერ
ვერ ვუძლებდი ფიქრსაც სადავეს, —
რად მომეც ნიჭი,
გულის ყური,
თვალი გონების.

შემდეგ ნაჩვენებია, რომ აზრი ნებაშიცაა და ტანჯვაც:

მე აზრი ვიყავ...
ბედი კაცთა
მე არ მებარა, —
ჩემად ნებებად,
ჩემად ტანჯვად
მე ეს მეყოფის...

ლექსში „ხმა თეთრ სენაკში" მოცემულია მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი. ერთი მათგანი ეხება ცხოვრების მრავალ განცდათა შემდეგ არეოპაგიტულ ბნელში სინამდვილის პოვნას:

ვდგავარ უგულოდ,
მე უგულოდ
ვდგავარ საფლავთან;
უგულოდ ბნელა,
ცა უტყვის,
მიწა ბრმა არის...



ასეთივე შედევრია „ხმა კატმონთან", რაც სამშობლო ენის დიდებას შეიცავს.

„უტკბესი შენ ხარ ენავ
ჩვენო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო ხვედრო,
შენ, ყოვლის
მოქმედო,
ყოვლის არ მოქმედო"...

ეს დიალექტიკური დაპირისპირებანი ენის ყოვლისმოქმედებისა და არმოქმედობის შესახებ, შესანიშნავად გადმოგვცემს ადგილს, სადაც „ბრძენი დიონისის" ნააზრევის კვალია უტყუარი.

უკანასკნელ ლექსებში ისმის დიადი პატრიოტის, რუსთაველის მამულიშვილის ვედრება:

ჩვენს მართალ მამულს,
მის კლდეთა დგომას,
მის წყალთა დენას,
ეს ლოცვა ჩემი...

ირაკლი აბაშიძეს, პალესტინის ექსპედიციის სულის ჩამდგმელს, არ შეიძლებოდა არ შეემჩნია, რომ „ჯვარისას" პირზე მისულმა რუსთაველმა არ იცოდა იოანე დამასკელი, რომლითაც მან პოეტურ სიახლოვეს მისწვდნენ. პერგამენტის მინაწერში ვკითხულობთ:

გადაუფუტურლეთ დამასკელი.
მისგან რჩეულო,
— იქნებ, განგიქრეს
ხელთა ძველი
გულ დაჩნეული,
. . . . . .
არა ინდობა,
ოდნავ ხელი
მილულა თვალი.

ამრიგად, ირაკლი აბაშიძის ლექსთა კრებული „პალესტინა, პალესტინა!.." მაღალმხატვრულ პოეტურ ნაწარმოებია, რომელშიაც უშაგალითოდ ჩაქსოვილია აღსარების სტილით რუსთაველის ცხოვრების ნაფიქრი და განცდილი. ამავე დროს ეს დიდი მხატვრული ნაწარმოები, საქმის ცოდნით და ერუდიციით შექმნილი, რუსთაველის განწყობათა და ნააზრევის შესწავლის მნიშვნელოვან გადმოცემას წარმოადგენს.

ვისი ხმა არის?

დემნა შენგელაია

ირაკლი აბაშიძემ ამას წინათ თავისი პალესტინური ლექსების წიგნი მისახსოვრა. სანამ გადავშლიდი, უკანა ყდაზე კინოვარით ამოყვანილმა შაირმა თვალი როგორღაც თავისთავად წამართვა. უცებ ჩამოშლილ ეტრატის გრაგნილს თითქოს ლამე ჩამოეფხრიწა და... არა, ეს პერგამენტი კი არა, თვითონ სიჩუმე შმაშურობდა:

„სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა..."

ვგრძნობდი, გული დარდით თანდათან როგორ მეკუმშებოდა. შვიდასი წელიწადი გავიდა მას აქეთ. რაც კონტრასტებით, ანაქრონიზმებით, დეკადანსის და სკეფსისის ეჭვით, შინაგან წინაუკმობით დაგესლილი ცა მონღოლებმა დაუშედავ ცხენთა ჭიხვინით, ველურ ყიჟინით ჩამოაბნელეს.

ჯალალედინი, ჩინგისხანი, ტამერლანი და იმ დროს, როდესაც ნახანძრალი და ნანგრევებს ქვემოთ მოყოლილი ფეოდალური საქართველო სულს ძლივს ღაფავდა, „ვეფხისტყაოსნის" მაღალი კოშკი ქონგურებით ცად ამაყად ამართულიყო.

თამარს ვაქებდეთ მეფესა,
სისხლისა ცრემლდათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე
არ ავად გამორჩეული.
... ვინცა ისმინოს, დაიხვას
ლახვარი გულსა ხეული, —

რუსთაველური ეს შაირი უნებურად მაგონდებოდა, ვიმეორებდი იქ, ვარძიაში, თამარის ფრესკასთან გარინდებული რომ ვიდექი. ის კი, თხუთმეტ-თექვსმეტიოდე წლის გოგონა, ხელაპყრობილ მამის გვერდით ნუკრივით იდგა. ხელი მასაც მაღლა აღეპყრო და ისე უმანკოდ იცქირებოდა, ეტყობოდა, რაზე ილოცა ან რა ეთხოვა, არ იცოდა, რადგან ვერცერთი ცოდვის ჩადენა ჯერ ვერ მოესწრო.

ის ბავშვი იყო და, როგორც ქალი, ჯერ აბსტრაქციად დარჩენილიყო.

მერე, როდესაც რუსთაველური შაირების ვნებით თანდათან დაქალდა და საქართველოს მეფედ აკურთხეს, მაინც ოცნებად, პოეტურ ოხვრის მიზეზად დარჩა და ძოწით მოსილ ნაზ ბეატრიჩეს ასეთივე წინათგრძნობად თუ წინაპრად იქცა, როგორც ქაჯეთი დანტესავე ჯოჯოხეთისთვის.

იგია ჩემი სიცოცხლე,
უწყალო ვითა ჯიქია...

— კვნესის შაირი, თრთის და ჩვენც მასთან ერთად გული მისი ეშხით გვეწვევა... სიყვარული ხომ იგივე პოეზიაა:

ძნელად სათქმელი საჭირო,
გამოსაგები ენითა...

ყველა ამბობს და მეც არ ვდავობ. ვიცი, როგორ არ ვიცი, რომ ლექსის წერა მუდამ ციმციმზე სიარულია, ძნელად სათქმელი რამეა გამოსაგები ენითა. ვაჟკაცობა, მიჯნურობა და სამშობლოს სიყვარული გულში თუ შოთამ ჩაგვინერგა, ქართული სიტყვის ნამდვილი გემოც ხომ შოთამ გაგვაგებინა. მას აქეთ ვიცით, რა არის პოეზია, მაგრამ რომ გვკითხონ, აღარ ვიცით რა არის იგი.

— ო ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სიმღერავ და ფრენავ!
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან...

სიყმაწვილე, ვნება, კანკალი პირველი კოცნის რაცაბანია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ენა, ჩვენი ქართული ისევ ბრწყინვალებს. ის უკვდავია და ამ უკვდავებას ქართველი ხალხი ჯერ სარგის თმოგველმა აზიარა და მერე შოთა რუსთაველმა ფრთები შეასხა. რუსთაველი თუ, ერთის მხრივ, ვოლფრამ ფონ ეშენბახის, აბელარის და მისი უნაზეს ელოიზას თანატოლია, მეორე მხრივ, ის ტოლს როდი უდებს ნიზამს, ხაყანის ანდა ფირდოუსს.

მშვენიერ ქალთა ეს რა წარმტაცი ვარსკვლავედი ციმციმებს რუსთაველის ამ დიდებულ ელვარე ცაში! უპირველესი ვარსკვლავი — თამარ, გულუხვი, მაგრამ თავის ნათქვამი თინათინი, სიყვარულით გაწამებული ნაზი ნესტანი, გოროზი დავარ, დიზე უდესი ტკბილი ასმათ და ფეხმსუბუქი ლამაზი ფატმან. შუა საუკუნის არცერთ ეპოსში არ ნარნარებს თვალის ასე ამრევად ამდენი სხვადასხვა ხასიათის და სხვადასხვა ნირის ქალთა მარაქა. თუ ნიბელუნგებს გვერდს ავუვლით, ასე ცოცხლად და მონუმენტალურად დახატულ ქალებს ვერსად ვნახავთ.

და ახლა, როცა რუსთაველზე ნასათუთარი ლექსების წიგნი ხელში მეჭირა, ყურს ვუგდებდი, ზამთრის სკასავით მიწყნარებული მისი სიჩუმე მაღელვებდა. ყოველი ლექსი ჩიტის გულივით ფანცქალებდა და ისე თრთოდა, რომ მეშინოდა, წაკითხვის შემდეგ აღარ მეთქვა, რა იყო ლექსი.

როცა ირაკლი აბაშიძის ლექსებს ვკითხულობ, გული მუდამ მღელვარებით მევსება, ის ტრაგიკული ბედის შემოქმედია. მოულოდნელად გაქცეულ სტრიქონს, გზააბნეულ ყვავილოვან ფრაზას ან და გამომხტარ რითმას ეგრე ადვილად ის არასოდეს არ ენდობა და მის ინტელექტს, სიტყვის დიდ გრძნობას მის გულში მუდამ ღვიძავს.

„პალესტინა, პალესტინა!.." კარაქისფერი აისის ნაზ ცისიერით და ვარდისფერი მდიდრული ატლას-ყარყუმის სკარამანგით გაცოცხლებული შავზე შავი ლაპლაპა წიგნის ეს სათაური ავტორის გულიდან თითქოს უეცრად ამოხდომოდა. თავისივე ხმით მერე თვითონვე შემკრთალიყო და „რუსთაველის ნაკვალევზეო" ქვეშ საქმიანად მიეწერა.

ამას როდი დასჯერებოდა. ვითომდა მეტი სიმართლისათვის ეს წინასიტყვაც თავისი ხელით წაეწერია: მაშ ეს „ხმები" ისე ჩამითვალე, თითქოს მართლა გამეგონოსო. ჯერ ეს ბრჭყალებში მოქცეული „ხმები", მერე ეს „თითქოს". მას ეშინია გრძნობის სიყალბის და პათეტიკის, მუდამ გაურბის უჩვეულოს. ამიტომ არის მისი ლექსი მუდამ ნათელი, პლასტიკური და რა დიდი შთაგონებაა საჭირო, რომ ეს მღრღნელი ეჭვები გადალახო და მღელვარე ლექსი მიიღო.

ირაკლი აბაშიძის პოეტური მეტყველება მუდამ სადაა და არასოდეს არც ენას და არც ხმას ძალას არ ატანს. მან კარგად იცის, რომ ენობრივი ძალდატანება ძაბვას იწვევს. ძაბვა კი ღლის მკითხველს და ერთფეროვანებს მეტყველებას. არასოდეს ის ხმამაღლა არ ლაპარაკობს, გაურბის ექსტაზს, გაურბის ეფექტს და მუდამ, როცა მის ლექსს კითხულობ, ასე გგონია, გრძნობა ყელში ეხჭინება, მაგრამ ლირიკულ ნთხევა-ყვირილით თავს არასოდეს არ დაიმცირებს.

მარკ ავრელიუსი ამბობდა: ყოველ კაცს შიგნით სულის ტაძარი უნდა ედგასო. ირაკლი აბაშიძე ასეთი ტაძრის ქურუმია და მეც მის ლექსებს ასე გულდასმით კიდეც იმიტომ ვკითხულობდი. ხან ვფიქრობდი, ხან ვოცნებობდი და მერე ისევ ვკითხულობდი. მისი ლექსები წრფელი ინტიმით და მეგობრული ინტონაციით, ფრაზის საკვირველი სინატიფით, უსაზღვრო დარდით და ასკეტური სიმარტოვის საშინელ გრძნობით ხან ლირიკულად ლივლივებდა, გულის სიღრმეში ატანდა და იქ, სადღაც რექვიემივით ქვითინებდა.

პოეზია ირაკლი აბაშიძის მკაცრად ნაჭედ ლექსებში თავისივე თავს ხანდახან თვითონვე თითქოს იმიტომ უარყოფდა, რომ მერე მკვდრეთით აღმდგარიყო და იქ, სადღაც, ვინ იცის სად, მარადისობას შეხებოდა. ამა თუ იმ ტაეპს რამდენიმეჯერ ვუბრუნდებოდი და სიმარტოვის გრძნობა მიტანდა. შემოქმედება ხომ დიდი სიმარტოვეა, სიჩუმეა და მეგობრის, თანაგრძნობის ძებნაა. მის შთაგონებულ ლექსს მეც ჩემთვის რომ ვკითხულობდი, მეგონა, ვითომ მე მეძებდა, მეგონა, ისევ მარტო იყო და ეს სიმარტოვე უკვდავებასავით ტრაგიული და თან იმდენად წრფელი იყო, რომ გაფიქრებაც არ შეიძლებოდა, ხმა თუ სადმე უღალატებდა.

სხვა რომ არ იყოს რა, მისი ლექსების სათაურებიც ხომ ერთ რამედ ღირს: „ხმა ჯვარის მონასტრის გალავანთან", „ხმა ზეთისხილის ბაღში", „ხმა სამრეკლოსთან", „ხმა კატამონთან"...

ვინ იცის, იქნებ წინაპართა ძვლები ერთბაშად განიდლებულან და ეს ხმაური საუკუნის საუბარია საუკუნესთან? განა ასევე არ ესმოდა „ხმა იდუმალი" თვრამეტი წლის ნიკოლოზ ბარათაშვილს? განა ასევე არ აფიქრებდა „ხმა გულისა" ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს?

ვისი ხმა არის ეს საკვირველი,
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?

და მას ილია ხმას აძლევდა:

თურმე ჩემს გულში ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.

ირაკლი აბაშიძეც ატომური ეპოქიდან ათქმევინებს პოეტის თეთრ აჩრდილს:

შენ მთხოვდი თაყვანს,
მხოლოდ თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს.
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.
... მე მწადდა შენგან
სიტკბოც
ცნობის თავისუფლების,
მე მწადდა შენგან
სიხარულიც
განსჯილ გონების...
და თუ შენ მაინც
ცოდვად მითვლი
ამ ჩემ საწადელს,
ცოდვა-არცოდვის
ჭეშმარიტი
სად ძევს საზღვარი?

რა საოცარი შეკითხვაა! როცა პოეტური სახე ან გრძნობა ირაკლი აბაშიძეს მომწიფებამდე გაექცევა, მუდამ ასეა:

მაგრამ თუ ზოგჯერ
ვერ ვუძლებდი ფიქრსაც სადავეს, —
რად მომეც ნიჭი,
გულისყური,
თვალი გონების?

წიგნი დავხურე. მისმა ლაღმა ქართულმა, სტრიქონებს შორის ჩაბუდებულმა სიჩუმემ და სიმშვიდის ჩრდილქვეშ შეფარებულმა მღელვარებამ მეც ამაღელვა. და როცა აზრმა აზრი უცებ წამოაფრინა და რითმამაც ტაეპს ჭრელი ფრინველივით დაუარა, წიგნი ხელახლა გადავშალე. „ხმა თეთრ სენაკში", „ხმა კატამონთან" ერთხელ კიდევ გადავიკითხე და ნაღვლიანი სიხარულით ისევ ავივსე. მე ვიცოდი, ისევ ვიცოდი, რა იყო პოეზია, მაგრამ საკმარისი იყო ეკითხა ვინმეს და ვერ ვიტყოდი რა იყო იგი.

ირაკლი აბაშიძე
პალესტინა,
პალესტინა!
„რუსთაველის ნაკვალევზე"

გარეკანი ირ. აბაშიძის წიგნისა „პალესტინა, პალესტინა!..".

ლაპარაკობს რუსთაველი

ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა!".. დაბეჭდვისთანავე პოპულარული გახდა საქართველოში. ამის მიზეზი მხოლოდ ის როდია, რომ ამ ციკლის ავტორი ქართული ლექსის ცნობილი ოსტატია, არამედ ის, რომ ნაწარმოების მთავარი გმირია შოთა რუსთაველი — ადამიანი, რომლის ლეგენდარული, დიადი სახე ყოველი ქართველის გულში ცოცხლობს. წარმატების მიზეზი კი შეგრძნების თავისებურება და ციკლის თანამედროვეობაა, თუმცა ასეთი მტკიცება შეიძლება პარადოქსულიც ეჩვენოს ვინმეს (ჩვენ ხომ რუსთაველის ეპოქას შვიდ საუკუნეზე მეტი გვაშორებს).

საყოველთაოდ ცნობილია ის სიძნელე, რომელიც თან ახლავს ისტორიულ რომანში წარსულის რეალისტურად ახსნას. მაგრამ რაოდენ იზრდება ეს წინააღმდეგობა, როცა ამ საქმეს ხელს ჰკიდებს არა რომანისტი, არამედ ლირიკოსი.

ირაკლი აბაშიძე კი, უპირველესად, ლირიკოსია. მის წიგნში თითქოს არ არის პალესტინის მართლმადიდებლურ მონასტერში გამგზავრებული შ. რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელი წლების ამსახველი რეალისტური სურათები. ანდა როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო, როცა ბერად აღკვეცილი რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელი წლები მეცნიერებისათვის ბურუსით არის მოცული. ირაკლი აბაშიძე ყველგან ეძებდა დიდი წინაპრის კვალს — მტკვრისა თუ განგის ნაპირებზე, მესხეთში (რუსთაველი ხომ მესხს უწოდებს თავის თავს), აღმოსავლეთის გზებზე, მაგრამ ყველა „ეს გზებიც სდუმდნენ და სდუმდნენ", მანამ სანამ ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ, რომელშიც ირ. აბაშიძეც მონაწილეობდა, იერუსალიმის მონასტრის კედელზე არ აღმოაჩინა დიდი შოთას პორტრეტი. რასაკვირველია, თავისთავად ეს აღმოჩენა შესანიშნავია, მაგრამ რას ნიშნავს იგი პოეტისათვის — ცოტა ხომ არ არის? ეპიკოსისათვის, დიახაც რომ ცოტაა, მაგრამ ლირიკოსი პოეტისათვის კი...

ირაკლი აბაშიძემ შექმნა თავისებური ლირიკული სურათი რუსთაველზე. მაგრამ განა მხოლოდ რუსთაველზე? პოეზიაზეც, მის ღირსებასა და მოქალაქეობრივ მოვალეობაზეც. დიადი „შავარა აჩრდილი" უმალ „ცოცხლდება" შოთას ცეცხლოვან მონოლოგებში. იგი გველაპარაკება საუკუნეთა წყვდიადიდან. „ხმა ჯვარის მონასტრის გალავანთან", „ხმა ზეთისხილის ბაღში", „ხმა სამრეკლოსთან" — ასეთი სათაურები აქვს ამ ლექსების ციკლს.

არის თუ არა რუსთაველი მოდერნიზებული თავისი სულიერი განწყობილებების გამომხატველ ამ მონოლოგებში? არა, ჩვენ მას ვიცნობთ, როგორც ტარიელის გამაკეთილშობილებელი სიყვარულის მომღერალს და როცა გვესმის „ხმა თეთრ სენაკში", გვესმის ხმა ადამიანისა, რომელსაც შეეძლო ეთქვა „მე სიყვარულით, სიყვარულით ვიყავ ცოცხალი, ჩემს სუნთქვას ერქვა სიყვარული, გულს სიყვარული", ადამიანისა, რომელიც ტარიელისებური ვნებით ამბობს: „ჭეშმარიტების დასადგენი, დასაბუთებელი ჩემთვის სულ იყო სიყვარული, სულ სიყვარული".

ჩვენ ვიცოდით, რომ რუსთაველი მხოლოდ პოეტი არ იყო, რომ იგი სახელმწიფო მოღვაწეობასაც ეწეოდა. აი, პოეტი განიცდის საქართველოს ძნელბედობას, რომელსაც რუსთაველის იერუსალიმს წასვლის შემდეგ მალე თავს ესხმიან მონღოლები. პოეტს ესიზმრება „ხმალი ტარში გადამსხვრეული" და აქვე კითხულობს: „რატომ ჩანს შავად უსაზღვრობა აღმოსავლეთის". შემდეგ პოეტი ღმერთს ევედრება: „არ დაუკეტო საქართველოს პონტოს კარები", და „აქმარე პირი, მტრის მოსობა". ეს „საბრალო მოხუცის" მუდარა როდია, როგორც თავის თავს უწოდებს რუსთაველი — აქვეყნიურ ხმაურს გაცლილი ბერი, არამედ ეს არის მოთხოვნა მოაზროვნე ადამიანისა.

დიახ, ამ ციკლში არ არის მოდერნიზება, ბერი რუსთაველი აქ განასახიერებს თავის დროს. ამბოხებულია თუ არა იგი ღვთაების წინააღმდეგ? დიახ, რასაკვირველია! პოეტი დაბეჯითებით ამბობს: ღმერთო, შემქმნელო ქვეყნიერების, გზები შენი არათუ მიუწვდომელია, ბრძნულიც არისო. მაგრამ ეს რუსთაველის მონოლოგების მხოლოდ ერთი მხარეა. ღმერთთან პოეტის საუბარი მაჩვენებელია შოთას მეამბოხე გულისა. როგორ ელაპარაკება ამ უმაღლეს არსებას — „პანტოკრატორს" — პოეტი! აქვეყნიურ ინტერესებს, „ყოველგვარ მიწიერს" განშორებული შოთა კითხულობს: „დავთმე? და იქნებ, არც რამ მქონდა დასათმობელი?" შემდეგ ამბობს: „იქნებ ამაოდ შენთან ვცდილობ თავის მართლებას".

ეს არის შეგრძნება აღრეული და ამავე დროს ჭეშმარიტი ჰუმანიზმისა, აქედან გამომდინარე კი მებრძოლი ჰუმანიზმისა, რომელიც ახლოა ჩვენთან.

იური სუროვცევი.

„ლიტერატურნაია გაზეტა" 1965 წ. № 2.

აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის გამო

ლექსწყობის კანონები პოეტის საშემსრულებლო ხელოვნების საფუძველთა საფუძველია. არც ერთი სხვა კანონი, მათ შორის გრამატიკულიც კი, მისთვის ასეთი ძალის შემცველი არ არის. ამიტომ არის, რომ პოეტიკა ტექსტოლოგიურ მუშაობაში გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს.

აკაკი წერეთლის თხზულებათა გამომცემლები — ს. გორგაძე, პ. ინგოროყვა, ი. გრიშაშვილი და გ. აბზიანიძე — ტექსტის დადგენის დროს გზადაგზა ლექსწყობასაც იშველიებენ. ამ მხრივ საგულისხმოა, კერძოდ, აკაკის რითმაზე დაკვირვება. ს. გორგაძემ ლექსმცოდნის ალღოთი ინტუიციით გაასწორა „თორნიკე ერისთავის" ჩავარდნილი რითმა (მოწამის — ქრისტიანობის). ი. გრიშაშვილმა ა. წერეთლის ერთ პოემაში („ალექსი") მიაგნო მესტამბის მიერ შეცდომით გადასმულ სტრიქონებს, შიგნით შეწყვეტილი რითმები ნაპირას გამოიტანა და გარითმვის ერთი პრინციპი პოემას ბოლომდე შეუნარჩუნა. პ. ინგოროყვამ აკაკის უთარიღო ლექსი, ჯვარედინად გარითმული, („ნაძალადევ საქმროს") 1884 წლამდე დაწერილად მიიჩნია, რადგან, მისი აზრით, 1884 წლის შემდეგ აკაკის ჯვარედინი რითმით ლექსი არ დაუწერია. აკადემიური გამოცემის რედაქცია (რედ. გ. აბზიანიძე) I, III და IV ტომების სარედაქციო შენიშვნებში საგანგებოდ მიუთითებს, რომ აკაკის ორთოგრაფიაში ზოგიერთი არასწორი ფორმა ხელუხლებლად იქნა დატოვებული „იმის გამო, რომ ლექსში სიტყვა დამაგრებული იყო რითმით". პროფ. პ. კალანდაძემ აკაკის ისტორიული პოემების („თორნიკე ერისთავისა" და „ნათელას") ტექსტოლოგიურ გამოკვლევაში არაერთგზის მიმართა პოეტის ვერსიფიკაციას და მასზე დაყრდნობით მრავალი შეუმცდარი დასკვნა გააკეთა.

აკაკი წერეთლის თხზულებათა ორი უკანასკნელი გამოცემა — შვიდტომეული (1940-1959 წ. წ.) და თხუთმეტტომეული (1950-1963 წ.წ.), რომლებსაც ჩვენ სპეციალურად ვეხებით, სხვა გამოცემებთან შედარებით გაცილებით უფრო სრულია და აღჭურვილია მდიდარი მეცნიერული აპარატით.

აკაკის თხზულებათა გამოცემა ვარიანტული სხვაობებით, როგორც ეს აკადემიურ გამოცემას შეეფერება, ღირსშესანიშნავი მოვლენაა. პოეტის თხზულებათა ტექსტიც აკადემიურ გამოცემაში უფრო სრულყოფილია.

ჩვენი შენიშვნები პირველ რიგში ტექსტის ორთოგრაფიულ ჩასწორებებს შეეხება.

აკადემიური გამოცემის თხუთმეტტომეულში ორთოგრაფიული ცვლილებების თაობაზე საგანგებოდაა ნათქვამი: „ტექსტი იბეჭდება აკაკის ორთოგრაფიის დაცვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე გვაქვს არასწორ ფორმასთან... ვითარებითი ბრუნვის ნიშნად აკაკისთან გვხვდება **დ, ად** ან **თ, ათ,** ამითგან დავტოვეთ ნიშნები: **დ, ად.** ბრუნვის ნიშნების ეს სხვაობა ვარიანტებში არ აღგვინიშნავს". შემდეგ: „ზმნის მრავლობით რიცხვში დენ და ნენ პარალელური ფორმებიდან დავტოვეთ დენ, რამდენადაც აკაკის ლექსებში ჭარბობს ეს ფორმა. აღნიშნული სხვაობანი ვარიანტებში ნაჩვენები არ არის".*

ეს მნიშვნელოვანი საკითხია. შემოქმედი პოეტის ნახელავში თვითეულ ბგერას გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს. ლექსის მუსიკალური სრულყოფის მიზნით პოეტები ხშირად არღვევენ დადგენილ ორთოგრაფიულ ნორმებს, რამდენადმე უხვევენ მისგან და ეს გადახვევები, როგორც შეგნებული პოეტური აქტი, ხელუხლებლად უნდა იქნას დატოვებული. ეს მით უფრო შეეხება აკაკის ორთოგრაფიის პარალელურ ფორმებს: **დ, თ, დენ, ნენ,** რომლებსაც იმ დროის დამწერლობა თანაბარი უფლებით სარგებლობდა და პოეტს მხატვრული მიზანდასახულობის შესაბამისად შეეძლო ხან ერთისთვის მიემართა და ხან მეორისთვის.

აკაკი მკაცრად იცავს ეპოქის მხატვრულ სტილს რითმის უკანასკნელ მარცვალთა აბსოლუტური თანხმობის შესახებ. განსაკუთრებით ეს ითქმის უკანასკნელ ბგერაზე. შვიდტომეულსა და თხუთმეტტომეულში ვითარებითი ბრუნვის ნიშანთა პარალელური ფორმებიდან **თ**-ს განდევნამ ზმნისა და სახელის შერითმების დროს ბოლო თანხმოვანთა სხვადასხვაობა მოგვცა. მრავლობით რიცხვში დასმული ზმნა **თ** ნიშნითაა წარმოდგენილი, ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი — **დ** ნიშნით: მოსახსენედ—დაგვიანეთ (I, 215),** გაეცებით — საქებად (I, 106-7) და სხვ.

რითმაში ბოლო თანხმოვანთა ეს სხვადასხვაობა აკაკისეული არ შეიძლება იყოს. **თ** მრავლობითობის ნიშნით წარმოდგენილ ზმნას აკაკი სახელს ვითარებითი ბრუნვის **თ** ნიშნით უწყობდა. საკმარისია გადავხედოთ პოეტის თხზულებათა ავტოგრაფებს თუ ადრინდელ გამოცემებს, რომ ნათქვამის სიმართლეში დავრწმუნდეთ. „თორნიკე ერისთავისა" და „ნათელას" ავტოგრაფებში რითმის ორსავე თანაცალს ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ან **დ** აქვს ან **თ.** ღ-ს ალიტერაციით გამართული ტაეპი „თორნიკე ერისთავის" ავტოგრაფში: „გინდა გადიქცეს გონებად" (46-ე სტროფი), პოეტმა რითმის ბოლო თანხმოვანთა სრული იდენტურობის მიზნით დაასწორა. ავტოგრაფში სიტყვის „გონებად" უკანასკნელი თანხმოვანი **დ** გადახაზულია და მის ნაცვლად წერია **თ.** ეს [illegible] სრულ რითმას: გონებათ—გაგონებათ.

სამიოდე შემთხვევაში სარითმო კლაუზულის ბოლოს **დ**-სა და **თ**-ს მონაცვლეობისა, რაც ორსავე პოემის ავტოგრაფში ვნახეთ, კალმისმიერი შეცდომების ფარგლებს არ სცილდება.

თანხმოვანთა მონაცვლეობას აკაკი მხოლოდ რითმის კლაუზულის შიგნით მიმართავდა, კლაუზულის ბოლოს კი თითქმის არასდროს. ამიტომ ზემოხსენებული და სხვა მსგავსი შესწორებები აკაკის თხზულებათა ტექსტში პოეტის რითმის ორთოგრაფიას არღვევს.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს აკაკის რითმისათვის **დენ** და **ნენ** პარალელურ ფორმათა გამოყენებას. რადგან პოეტი ამ ფორმათაგან არც ერთის წინააღმდეგი არ იყო, უფრო მეტიც: იგი უმეტესად **დენ** ფორმას ემხრობოდა, არასდროს არ დაუშვებდა რითმის ასეთ უზუსტობას: ოდენ—იძახოდნენ („ერთ ქალს", (I, 71). აკადემიური გამოცემის ტექსტში ეს შეცდომა უთუოდ გასასწორებელია, მით უფრო, რომ მას მხარს არ უჭერს ამ რითმის არც ერთი სხვა წყარო. უნდა აღდგეს ავტორისეული: იძახოდენ.

რითმის უკანასკნელ მარცვალთა იგივეობისათვის აკაკი ზოგჯერ დიალექტური ფორმის გამოყენებასაც არ ერიდება. ამ გზით გაიმართა მაჯამა მალამო, მალამო (I, 215, III, 266; IV, 104). პირველი მალამო დამალვის მნიშვნელობითაა ნახმარი (მალავო). ამ სიტყვასთან დაკავშირებით ძლიერია შვიდტომეულსა და თხუთმეტტომეულში რითმის სიზუსტის თვითნებური დარღვევა: მალამო—მომალავო (შვიდტომეული, I, 152; თხუთმეტტომეული, I, 269), ჰმალავო—მალამო (შვიდტომეული, I, 655, თხუთმეტტომეული, III; 78) არც ერთი სხვა ვარიანტის მიხედვით წარმოდგენილ რითმებში **მ**-სა და **ვ**-ს მონაცვლეობა არ არის (თხუთმეტტომეული, III).

შენიშვნები ლექსწყობის თვალსაზრისით

✦

ასევე უნდა შევეხოთ „აღმართ-აღმართის" ერთ რითმას. როგორც ცნობილია, აკაკის ეს ლექსი თავიდან ბოლომდე სუფთა მაჯამური რითმებითაა გაწყობილი. მაჯამა მხოლოდ ერთ შემთხვევაში ირღვევა: ჰმონებდა — მონებდა. ჰ ბგერის ნიშანი აღნიშნულ სიტყვას რაიმე შინაარსობრივ სხვაობას არ აძლევს. მაჯამის წყვილთა სემანტიკური მნიშვნელობა ისედაც ურთიერთგანსხვავებულია; პირველ შემთხვევაში იგი ნიშნავს სხვის მონობას („გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას მონებდა"), ხოლო მეორე შემთხვევაში მტრის ნების დაყოლას („გამიკვირდა, ვსთქვი: „მტერს როგორ მონებდა"). ამასთან ერთად, ლექსის ვარიანტებში ამ რითმის რამდენიმე წაკითხვა მაჯამას ხელუხლებლად ტოვებს. (I, 481). შესაძლებლად მიგვაჩნია მაჯამური ლექსის „აღმართ-აღმართის" ამ ერთადერთ დაკოდილ მაჯამას სრული ფორმა მიეცეს (მონებდა—მონებდა).

რითმის გაუმართაობის სხვა შემთხვევებიდან აღსანიშნავია:

1. ყოველიფერი — ტეინმეისტერი („რჩევა ახალგაზრდა მწერლებს", I, 178. შვიდტომეული, I, 155):

შენ ხარ პოეტი, ცხოვრების სარკეც,
სადაც იხატებს ყოველიფერი,
მაგრამ ნუ ხატავ ყველას, თავს არგებ,
ნუ გადიქცევი ტეინმეისტერი.

აქ რითმა არ ირღვევა: დაქტილურ რითმაში ყველა თანხმოვანი ერთმანეთს არ ეწყობა და ზუსტი რითმის ნაცვლად ასონანსს ვღებულობთ. მაგრამ, ჩვენი აზრით, აღნიშნული რითმა აკაკის ხელიდან უფრო სრული, კეთილხმოვანი სახით უნდა იყოს გამოსული. მხედველობაში გვაქვს ტეინმეისტერის სარითმო კლაუზულის ობლად დარჩენილი თანხმოვანი ნ.

ლექსი „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს" ერთ რითმაზეა აგებული, მას თავიდან ბოლომდე სარითმო სიტყვად გასდევს ტეინმეისტერი. ამ რითმის მუსიკალური ცენტრია თანხმოვანი ნ, რომელიც მახვილიანი მარცვლის შემადგენლობაში შედის (ტეინმეისტერი). ეს ბგერა მეტ-ნაკლები აქტივობით თითქმის ყველა რითმაში მონაწილეობს.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სიტყვას ყოველიფერი ამ ვითარებაში აკაკი დიალექტური ფორმით იხმარდა: ყოველინფერი.

ეს სიტყვა დასავლურ კილოებში ხშირად ამგვარი სახეცვლილებით გვხვდება. ნიკო ლორთქიფანიძემ ფრაზის კეთილხმოვანება სწორედ ამ სიტყვის ნ ბგერაზე ააგო: „მიდამ ის... ყოველგან ის... ყოველინფერში ის". (თხზულებანი, I, 1934, გვ. 89).

ყოველინფერი აკაკისთვისაც არ ყოფილა უცხო. ლექსში „თერთმეტი ენკენისთვე" (იხ. „თემის დამატება", 1912, № 1). ეს სიტყვა სწორედ რითმაშია მოქცეული.

2. ზამთარსო—ქარსაო („მერცხლისა და ჭიაჭიის ომი", II, 194):

ჩვენი ზაფხული თუ მოსწონს,
რაღად იწუნებს ზამთარსო?
აბლუჩა გაუტანელი,
მიჰყავს და მოჰყავს ქარსაო.

ასევეა შვიდტომეულსა და აკაკის თხზულებათა სხვა გამოცემებში, ხოლო „ჯეჯილში" (1890 წ., № 1), რომელიც ამ ლექსის პირველ წყაროდ ითვლება, რითმა სრული და გამართულია: ზამთარსო—სხვა ქარსო.

3. ორიადო—ფასადო („ალმასი და რიყის ქვა", IV, 227, შვიდტომეული, II, 361):

მე ხომ იმაზედ მეტიც ვარ
და, მამეც ერთი—ორიადო!
და, რა თქმა უნდა, რომ შენ იქ
ვეღირებოდი ფასადო!

ავტოგრაფსა და კრილოვის იგავარაკების აკაკისეული თარგმანის 1937 წლის გამოცემაში ერთი—ორიადოს ნაცვლად არის ერთი—ასადო (IV, 460). საკვირველია, რატომ არ იქნა გაზიარებული რითმის ზემოთაღნიშნული სწორი ფორმა (ასადო—ფასადო)?

ასეთია ჩვენი შენიშვნები აკაკის თხზულებათა აკადემიური და საიუბილეო გამოცემების რითმასთან დაკავშირებით.

რამდენიმე შესწორება უნდა იქნას შეტანილი აკაკის ცნობილი „შეხამბაზის" („ნახევარი ცხოვრების გზა გავლილი", I, 255) ძირითად ტექსტში. ჩვენი ძირითადი შენიშვნა ამ ლექსის II ტაეპს შეეხება. შვიდტომეულში (I, 138) წერია:

ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქახდილი.

ამ წაკითხვას მხარს უჭერს ლექსის ვარიანტთა დიდი ნაწილი, მათ შორის ს. გორგაძისა და ი. აბაშელის გამოცემა (IV, გვ. 72). თხუთმეტტომეულში I, 255) კი გვაქვს:

ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქმოხდილი.

შედარება კეთილხმოვანების თვალსაზრისით პირველი ვარიანტი გაცილებით უკეთესია მეორეზე. არქაული ფორმა თავზედ გამოთქმას ამძიმებს, ისევე როგორც მე-20 ტაეპის ცრემლზედ, რომელიც ბევრ ვარიანტში გამართულია (ცრემლზე). ლეჩაქახდილი ქმნის დაქტილურ რითმას (ლეჩაქახდილი — სალათის ძილი), რომელიც ნიშანდობლივია სარითმო დაქტილური კადენციის თერთმეტმარცვლედისა და, კერძოდ, აკაკის ამ ლექსისათვის. ლექსის მოკლე, ავტორის მიერ გადამუშავებულ რედაქციაში 10 სტროფიდან რვას დაქტილური რითმა აქვს. კიდევ უფრო საინტერესოა პირველი ვარიანტი ბგერწერის მხრივ. ორი ა-ს დამატება (ფეხშიშველი, ლეჩაქახდილი) სტროფს ასონანსური ბგერწერის საუცხოო ნიმუშად ხდის: ორი ტაეპის 22 ხმოვანიდან 10 საუკეთესო ადგილი ა-ს უჭირავს: „ფეხშიშველი თავზე ლეჩაქახდილი, უგრძნობლად ჰხდის საწყალს სალათის ძილი". კერძოდ, ორი მოსაზღვრე სიტყვის ხუთივე მარცვალს ა ბგერა ქმნის (საწყალს სალათის). განსაკუთრებით გააძლიერა ასონანსი სიტყვამ ლეჩაქახდილი, რადგან 1. გამოცვლილი ა მახვილიანია (ლეჩაქახდილი), 2. ლეჩაქახდილი ბგერწერით შესატყვისობაშია მომდევნო მუხლთან უგრძნობლად ჰხდის (ლეჩაქ ახდილი—უგრძნობლად ჰხდის).

ამ ღირსებებს მოკლებულია აკადემიური გამოცემის ვარიანტი.

აკადემიური გამოცემის ტექსტში ზოგჯერ აკაკის ლექსთა მეტრული პრინციპიც დარღვეულია. მხედველობაში გვაქვს ცალკეული ჰეტერომეტრული სტროფები ლექსებიდან: „ვერსად ვნახე ხიზილალა" (I, 272), „კუბოს მზიდველები" (I, 290), „სასიმღერო კუპლეტები" (II, 140) და „სიმღერა" (I, 315).

„ვერსად ვნახე ხიზილალა" შესრულებულია ჰეტერომეტრული საზომით რვამარცვლედი შვიდმარცვლედთან. ყოველი სტროფის კენტი ტაეპი რვამარცვლიანია, ლუწი — შვიდმარცვლიანი. მაგრამ მესამე სტროფში ეს პრინციპი ირღვევა:

იმერლებმა მას ტირიან:
„ღმერთო ეს რა არის",
აჭყვიტებს შემყვირიან:
„მოგვეცით ცოცხალ-მკვდარი!"

უკანასკნელი ტაეპი, რომელიც ერთი მარცვლით მეტია მასთან შეწყვილებულ მეორე ტაეპზე და ლექსის მეტრს სავსებით ამახინჯებს, აკაკის ხელიდან გამოსულს არ ჰგავს. პირველ წყაროშიც („დროება", 1873 წ., № 4) აღნიშნული სტროფი ამ სახითაა დაბეჭდილი.

„კუბოს მზიდველების" მეორე სტროფის მესამე ტაეპი ერთი მარცვლით მეტია დანარჩენზე. მაგრამ მესამე ტაეპის მარცვლოვანობა, როგორც აკაკის მეტრიკის დამახასიათებელი მოვლენა, ამ ლექსის ერთადერთ ვარიანტსა (აკ. წერეთელი, [illegible], 1874 წ.) და გამოცემაში [illegible]:

ნეტავი რა ვქნათ? რა ვუყოთ?
დავმარხოთ, თუ სხვებს გავუყოთ?
ვენებთ ხურმდეს სამარეში
მალე თავი ჩავუყოთ.

სტროფის მეტრული სქემა — რვამარცვლედი შვიდმარცვლედთან — ლექსის რიტმულ სტრუქტურას არ შეესაბამება. შეუსაბამობის მთავარი მიზეზი რვამარცვლიან ტაეპთა რიტმული სხვაობაა. პირველი რვამარცვლიანი ტაეპი დაბალი შაირისაა, მეორე — მაღალი შაირის. ამასთან, ეს ლექსი სამწყობადი რითმითაა გაწყობილი, ხოლო, აკაკის პოეტიკიდან გამომდინარე, სამწყობადი რითმის დროს დაუშვებელია გარითმულ ტაეპთა მეტრული სხვადასხვაობა. სამივე ტაეპი ერთი ზომისა უნდა იყოს. საკმარისია ამ ტაეპის პირველ მუხლს ერთი მარცვალი მოვაკლოთ, სიტყვას ნეტავი უკანასკნელი ხმოვანი ჩამოვაცილოთ, რომ ყველაფერი სრულ წესრიგში აღდგეს:

ნეტავ რა ვქნათ? რა ვუყოთ?

და ა. შ.

ლექსის ავტოგრაფი (თუ კი ასეთი რამ აღმოჩნდება) ვფიქრობთ, დაადასტურებს აღნიშნულ გასწორებას.

მესამე შეცდომაც ასეთივეა, როგორც წინა ორი.

ლექსში „სიმღერა" („ბულბული ვარდს მაშინ დაჰყეფს") მდგომარეობა კიდევ უფრო ნათელია. იგი თავიდან ბოლომდე დაწერილია ჰეტერომეტრული წყობით — რვამარცვლედი შვიდმარცვლედთან. სტროფის ყოველი კენტი ტაეპი რვამარცვლიანია, ლუწი შვიდმარცვლიანი. მაგრამ ეს კანონზომიერება დარღვეულია აკადემიურ გამოცემაში, სადაც ამ ლექსის მე-6 სტროფის პირველი ტაეპი რვა მარცვალს შეიცავს, ყველა დანარჩენი კი შვიდს:

რომ დამიბან კიდევ ენა,
გულს ხომ მაინც ვიძგერებ
ტურფავ, შენის გულისთვის
ჭკვიანს დავემტერებ.

თუ მესამე ტაეპს ერთ მარცვალს მივუმატებთ და გულისთვის ნაცვლად გვექნება გულისათვის, რიტმული კანონზომიერება სავსებით აღდგება. შვიდტომეულში ლექსის ეს ადგილი სწორედ ამგვარად იკითხება: „ტურფავ, შენის გულისათვის" (I, 177). ასევეა აკაკის თხზულებათა 1893 წლის გამოცემასა (ტ. I, გვ. 258) და „ჩემს ნაწერებშიაც" (II, 1913, გვ. 102). ვფიქრობთ, ეს გამომცემელთა უნებლიე შეცდომაა.

ჩვენ ლექსწყობის კუთხით დავაკვირდით აკაკის თხზულებათა გამოცემებს. როგორც ვხედავთ, ამ თვალსაზრისით გამოცემებში ყველაფერი რიგზე არ არის. მაგრამ ჩვენი შენიშვნა-შესწორებანი მაინც ტექსტის მხოლოდ მცირე ნაწილს შეეხება და ვერ ამცირებს იმ დიდ ღვაწლს, რაც ტექსტოლოგებმა აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის საშვილიშვილო საქმეს დასდეს.

აკ. ხინთიბიძე

---

* აკ. წერეთელი, თხზ. სრ. კრ. აკად. გამოცემა, ტ. I. გვ. 399, ტ. III, გვ. 491.

** ვსარგებლობთ აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეულით.

ზამთარი

ალექსანდრე ქუთათელი

თოვლს დაუფარა ბაღები,
ხეზე ქოდა ბეღურა.
ბუხრის მილს თეთრი ფაფახი
თავზე გლეხურად ეხურა.

ეზოში დადის ამაყი
მამალი ქათმის ამალით.
ვით ყიზილბაში ახმახი
ჰარამხანაში ნავალი.

თავი უჭირავს ამაყად,
რადგან არა ჩანს ალალი.
ვერც მოიტაცებს ამაღამ
მელა ჯაგებში ნამალი.

დუმს მთები ჩამონათოვი.
ღამით მტკვარიც არ გრიალებს,
მხოლოდ კაშკაშა მნათობი
ტყუება, ყინვისგან ელრიალებს.

ჩვენმა მეზობლის მამალმა
განთიადისას იყივლა,
რომ მთაზე ამომავალი
მზე ძოწეული იხილა.

თოვს. თბილამური [illegible]
და [illegible].
მიმაქვს მეკვლეს კარიკარ
მზე, ახალი წლის მარაგი.

მივალ დიდგორს და თრიალეთს,
რომ მიმოვფანტო ხორბალი,
რომ ქართლში კვლავ დატრიალდეს
უხვი მოსავლის ბორბალი.

ავდრ გაირღვა ღრუბელი,
მზემ სოფელს სხივი მოჰფინა
და გუბეების [illegible]
ყინული გაადნობინა.

ეზოში ჩანდა ბაღები,
ხეზე ღოდა ბეღურა.
ნაძვის ხეს თეთრი ფაფახი
თავზე გლეხურად ეხურა.

აკაკი წერეთელი ქიათურაში, 1908 წელს.

ახალი ნარკვევი ლაზეთზე

„საბჭოთა საქართველომ" გასულ წელს ბევრი კარგი და ფრიად საჭირო წიგნი მიაწოდა მკითხველს. მათ შორის ერთი პირველთაგანია ლაზი მკვლევარების შ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ნარკვევი „ლაზეთი", რომელიც პროფ. ს. მაკალათიას რედაქციითა და წინასიტყვაობითაა გამოცემული.

ლაზეთზე ბევრი რამ დაწერილა. საინტერესო მონოგრაფიები მიეძღვნა ლაზური (ჭანური) მეტყველების სტრუქტურასა და ლექსიკას, ძველი ლაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ცალკე პრობლემებს, გამოცემულია ლაზური ტექსტებიც, მაგრამ ყოველივე ეს მეტად მცირეა და თანაც ძნელად ხელმისაწვდომი მკითხველთა ფართო წრეებისათვის. ამასთან ყველა მათგანი დაწერილია არა ლაზის, არამედ სხვა ტომის მეცნიერთა მიერ და ყოველთვის როდი არის ზუსტი.

ქართველ მეცნიერებთან ერთად ლაზეთის შესწავლით დაინტერესებული იყვნენ რუსი და უცხოელი მკვლევარებიც, რომელთა ნაშრომებში გარკვეულია მრავალი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, მაგრამ მთლიანად ეს უძველესი და მეტად საინტერესო ისტორიის მქონე მხარე, მისი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურა, განსაკუთრებით კი ზეპირსიტყვიერება, საკმარისად არაა შესწავლილი. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ღრმა გულისტკივილით აღნიშნავდა ნიკო მარი, ფუძემდებელი ლაზურის მეცნიერული შესწავლისა, და ეს გულისტკივილი დღესაც ძალაში რჩება, თუმცა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ლაზოლოგიას შემატა რამდენიმე საყურადღებო მონოგრაფია (აქ პირველ რიგში აღსანიშნავია პროფ. ა. ჩიქობავას „ჭანურის გრამატიკული ანალიზი" და სხვ.).

ამიტომ შ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ნარკვევის გამოცემა უეჭველად სასიამოვნო მოვლენაა. წიგნი იმითაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას, რომ მისი ავტორები პირადად არიან ლაზები, რომლებიც კარგად იცნობენ თავიანთ მშობლიურ მეტყველებას, ხალხის ყოფას, ზეპირსიტყვიერებას, საჭირო ისტორიულ წყაროებს.

წიგნი სამ ნაწილს შეიცავს. პირველ ნაწილში გადმოცემულია ლაზეთის მოკლე ისტორია. უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენებათა მიხედვით გაშუქებულია ლაზთა სამეფოს წარმოშობის, ამ სამეფოს დაცემის, ლაზეთის ჯერ ბიზანტიისა (საბერძნეთის) და შემდეგ ოსმალთა მფლობელობაში ყოფნის საკითხები. მეორე ნაწილი მთლიანად ეთნოგრაფიას ეძღვნება. აღწერილია ხალხის ყოფა-ცხოვრების უძველეს წესჩვეულებათა დღევანდლამდის მოღწეული ნორმები. მესამე ნაწილში კი წარმოდგენილია ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

ალაგ-ალაგ ჩართულია ლაზური (ჭანური) დარგობრივი ლექსიკის ნიმუშები, რომლებიც შეპირისპირებულ-შედარებულია ქართველურ ენათა შესაბამის მონაცემებთან.

უეჭველ ინტერესს იწვევს ცნობები ხალხის მეურნეობისა და მატერიალური კულტურის შესახებ. წიგნში ახსნილია ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებს ლაზებში მეთევზეობისა და ხელოსნობის განვითარებას. კარგადაა აღწერილი ნადური შრომის ჩვევები: „სოფლის მეურნეობაში, — მოგვითხრობენ ავტორები, — მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნადურ შრომას: მაგალითად, სიმინდსა და ბრინჯს ხშირად ნადური წესით თესავენ (ოთახუ ანუ იხანქე). ნადური წესითვე თიბავენ („გომილე"), ხილავენ („ოყინუ") ბრინჯს. მცირე ფართობის კულტურებს და ბოსტნეულს უნადოდ უვლიან" (გვ. 81).

ნადურ შრომას უკანასკნელ ხანებამდის თანხლებია სიმღერა და შაირებში შეჯიბრება. „ლაზური ნადი იმით ხასიათდება, რომ მთელი შრომითი პროცესის მანძილზე ხალხურ სიმღერებთან ერთად აბრუნებენ შაირებს. აქ ორი ჯგუფი ერთმანეთს ეჯიბრება. ხალხური შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ამგვარ გამოვლინებას ვხვდებით აგრეთვე სიმინდის გარჩევის, სახიდე ძაფის რთვისა და სხვა ნადებშიც" (იქვე). მართალია, ეს ცნობები რამდენადმე კუმშეკუმშულადაა წარმოდგენილი, მაგრამ მაინც ქმნის გარკვეულ წარმოდგენას ხალხის კოლექტიური შრომისა და სიმღერა-ლექსობის უძველეს ტრადიციებზე.

ძვირფასი ცნობებია გადმოცემული მეთევზეობასა და ნადირობაზე. ცალკეა აღწერილი გარეულ ფრინველზე ნადირობა და მისი წესები, ხელოსნობასთან დაკავშირებული რიტუალები.

სხვა ეთნოგრაფიული წესჩვეულებებიდან ყურადღებას იპყრობს ცნობები დიდ ოჯახზე, ქალის დანიშვნა-გათხოვებაზე („ათი ოხვენუ"), ქორწილზე („ჭანდა"), ყვანის ქორწილზე („ორწილში ჭანდა"), ბავშვის აღზრდის წესებზე, გართობა-თამაშობებზე, ცრურწმენასა და გლოვის წესებზე. ნარკვევში შეტანილია საყურადღებო დაკვირვებანი სიმღერა-შაირებსა და ცეკვებზე.

წიგნის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაწილში ფართოდაა გამოყენებული ავტორთა მიერ წლების განმავლობაში ადგილებზე შეკრებილი თქმულება-გადმოცემები და ხალხის ხსოვნაში შემონახული სხვა ცნობები.

რამდენიმე სიტყვა ლაზურ ხალხურ სიტყვიერებაზეც. ლაზთა ზეპირსიტყვიერება ჯერ კიდევ შეუსწავლელია. უცნობია მისი ჟანრები, გამოუვლენელია, კერძოდ, ზღაპარი. დღემდის გამოქვეყნებულია ლაზური ხალხური ზღაპრის მხოლოდ სამიოდე ნიმუში, ჩაწერილი ზურაბ თანდილავას მიერ („ხალხური სიბრძნე", ტ. II, 1964, გვ. 505-514), რაც, რა თქმა უნდა, სრულ წარმოდგენას ვერ მოგვცემს მდიდარი ლაზური ზეპირშემოქმედების შესახებ.

ლაზური ტექსტები, როგორც ითქვა, სხვა მკვლევარებსაც გამოუქვეყნებიათ (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ა. ჩიქობავა, ს. ჟღენტი), მაგრამ სპეციალური მიზნით, თარგმანის გარეშე. აქ კი ტექსტებს თან ერთვის თარგმანიც, რაც ჩვენს მკითხველს საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს ხალხური ზეპირშემოქმედების თემატიკა, ძირითადი ჟანრები და მოტივები.

წიგნში შესული ტექსტები ჩაწერილია სოფ. სარფში. წარმოდგენილია როგორც ხალხური პროზის, ისე პოეზიის ნიმუშები. პროზაული ტექსტებიდან ინტერესს იწვევს ხალხური ნოველები „მამის სიტყვა" და „ცუდი ცოლი", რომელთა მოტივები ცნობილია როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს მრავალი ხალხის ეპოსში. ეს ნოველები ძვირფას მასალას გვაწვდის ხალხურ ნოველათა სიუჟეტური მოტივების გავრცელებისა და წარმოშავლობის საკითხების გასარკვევად.

პოეტური ტექსტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალ-ვაჟთა გაშაირება, ანუ ხალხური ქალ-ვაჟთაიანის თავისებური ვარიანტები. გაშაირების ამ ნიმუშების გათვალისწინება ნათელყოფს, რომ ეს ჟანრი ხალხური პოეზიისა გავრცელებული ყოფილა კოლხურსა და ლაზურ ზეპირპოეტურ შემოქმედებაში. გამოქვეყნებული ტექსტები ხელს შეუწყობს ამ ჟანრის შედარებით შესწავლას ქართველურ ეპოსში.

ხასიათობრივი და მხატვრული გამომსახველობით გამოირჩევა სატრფიალო ლირიკის ნიმუშები და სიმღერები „უჩა ბიჭი" („შავი ბიჭი"), „მაყრული ობირი" („მაყრული სიმღერა", „ბელესა", „ქუთი ნუსა" („მატირალი").

წიგნი მკითხველს აცნობს ძველი საქართველოს ამ მრავალტანჯული მხარის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხალხური შემოქმედების უმნიშვნელოვანეს მომენტებს. ავტორები ეყრდნობიან როგორც ცნობილ სამეცნიერო ლიტერატურას, ისე პირადად მათ მიერ ადგილებზე შეკრებილ მასალებს. ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდის წიგნის ღირსებას.

გულისტკივილს იწვევს მხოლოდ ის, რომ ალაგ-ალაგ ნარკვევი მეტად ზოგადია, საილუსტრაციო მასალის გამოყენებაში იგრძნობა ზედმეტი სიძუნწე. ტექსტები მეტად მცირეა და წარმოდგენილ მასალასაც თან არ ახლავს სრული პასპორტი.

შ. ვანილიშისა და ა. თანდილავას „ლაზეთი" უეჭველად კარგი საჩუქარია ჩვენი მკითხველისათვის.

ალ. ღლონტი

ქუსლური

მოთხრობა

მინდია მოსაშვილი

◆

შუაზაფხულის იმ დღეს, ცა გახურებულ თონეს რომ ჰგავდა და ხრიოკ გორაკებს თითქოს სპილენძის გავარვარებული სარქველი ეხურათ, — ქვაბულში ჩამჯდარ ქალაქს დაუპატიჟებელი სტუმარივით გამოეცხადა უცნაური ამბავი.

უცნაური ამბავი ქალბატონი ჭორივით ირჯებოდა: ჯერ რიდით და კრძალვით შემოიხედა, მერე ფეხაკრეფით შემოიპარა, მერე გათამამდა, გაშინაურდა, აჩურჩულდა, აღაპარაკდა, ქუჩებს ურიდად დაუარა და აგვისტოს ერთ გაგუდულ, ბუღიან საღამოს...

„ვეფხვები" ჩამოდიან! — თოფივით გავარდა ქალაქში.

ჭორი იქნება, — ამბობდნენ ერთნი, უნდოდ იკრიჭებოდნენ, თავს საიმედოდ აქნევდნენ. ნაღდი ამბავია, — აჯერებდნენ მეორენი და დიდი ხეირის მოლოდინში, [illegible] სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდნენ.

მაგრამ, ქალაქელმა ბიჭებმა რაკი ერთი გაიგეს, [illegible]: ენა ვეღარ დაიჭირეს, ასი ტყუილი თქვეს, ჭორების ქსელი ობობასავით მოქსოვეს, მერე თავიანთი [illegible] თვითონვე დაიჯერეს, თავისავე აბლაბუდაში გაებნენ, იმ აბლაბუდაში სხვებიც გააბეს და უცნაურ ამბავს ათასი კუდი გამოაბეს.

მაგრამ, ლამის ერთი-ორი დღე რომ მოიპარა, — ჭორებს მოუკვდა პატრონი, ყველაფერი გამოირკვა და ერთ მზიან დღეს, ის უცნაური ამბავი იმ მზიან დღესავით ნათელი გახდა. ფარდულებს იმ ჭორებზე გრძელი კუდები გამოება, საღამოს გაზეთები ხელიდან ხელში გადავიდა, ქალაქელმა ბიჭებმა ერთი ჰაი-ჰუი ატეხეს და სიხარულით ლამის დაჭამეს ერთმანეთი.

სპორტული მიმომხილველი წერდა: „7 აგვისტოს ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში „ვეფხვების" გუნდსა და ჩვენი ქალაქის ნაკრებს შორის. ევროპული კლასის, საერთაშორისო შეხვედრების დიდი გამოცდილების მქონე „ვეფხვების" ჩამოსვლა განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში". მიმომხილველი წერილს ასე ამთავრებდა: „განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს „ვეფხვების" სახელგანთქმული ცენტრფორვარდის ვახაბისა და ჩვენი გუნდის ახალგაზრდა მცველის ანზორ ახალკაცის ორთაბრძოლა. მათ პაექრობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული 7 აგვისტოს მატჩის ბედი".

მეორე დღეს — ლამის მთელი ქალაქი აიყარა, ბილეთიანი და უბილეთო, ყველა რიგიანი და გზააბნეული რკინის ვება ჭიშკარს მიაწყდა, შესასვლელი ჩამოიღო და ეს ამდენი ხალხი ჯიუტად შეიჭრა სტადიონზე.

...დიდი იყო მოლოდინი. ტრიბუნებზე ისეთი გუგუნი იდგა, — ასპარეზობის დაწყების ნიშანი — მსაჯის სასტვენის ხმა, არავის გაუგია.

* * *

— უჰ... არაკაცთა მოდგმისავ... — დაჭრილი ხარივით დაიგმინა ვახაბმა და შორიახლო მდგარ შუატანის, ჯმუხ ვაჟკაცს — ბოროტებით, გესლით, ბოღმით, შურით და შუღლით ანთებული, თეირანის ბროწეულივით ჩაწითლებული, ოდნავ ელამი თვალები სისხლიანი ხანჯლივით ზურგზე დააბჯინა.

ფიქრის ჯარას აბრუნებს ვახაბი, მოსვენება დაჰკარგვია ამპარტავან დიდოსტატს.

აგრე იცის კაცის გულმა, სულ გამარჯვებით რომ ივლის და მერე უცებ, ფეხი წაუცდება ხოლმე.

მოდა, ბოღმიანია ვახაბის ფიქრიც. აუჰ, დამბადებელმა შეაჩვენოს, ქვეყნის შემდგენელმა შერისხოს ატეხილი ბედი კაცისა! აქ ხომ გადაკარგულში უცდება ფეხი!

და გულით ივსება ვახაბის გული. ხომ არ ყოფილა, რა შარიანი გზებით არ უვლია, მთელი ქვეყანა მოუვლია, ისტამბოლის, ალექსანდრიის, რომისა და პარიზის მინდვრები ამ ფეხებით გაუთელავს. მხოლოდ უდიდეს ოსტატებთან უბურთავნია, ამ ცის ქვეშ ყველა დიდ ქალაქში შერკინებულა, მაგრამ... ასეთი ჯიუტი და უტეხი, როგორიც ეს ქართველია, არსად შეხვედრია... ვისაც მისი [illegible] დაუმალავს გულში — ფანდების ჩანჩქერში დაუხრჩვია, საქვეყნოდ შეურცხვენია და მოედნიდან თავლაფდასხმული გაუშვია... მასთან შებმას, მისი ჯადოქრობის პირისპირ დარჩენას თვით იორკის, გლაზგოსა და მანჩესტერის გოლიათი დიდოსტატები ფიქრადაც ვერ ბედავენ, ეს ვიღაც იბერი ქართველი კი, ძლივს რომ სწვდება მხრებამდე, აინუნშიაც არ აგდებს. ლანდივით ფეხდაფეხ დაჰყვება, გასაქანს არ აძლევს, ნებაზე არ ათარეშებს, თავსა სჭრის ამდენ ხალხში და ასპარეზიდან დამარცხებულს უპირებს გაშვებას... უჰ, არაკაცთა მოდგმისავ... ნუთუ აქ, ამ პატარა საქართველოში ჩამოვარდება „ვეფხვების" ზენიდან ამომავალი ვარსკვლავი, ნუთუ ამ პატარა, შორეულ მხარეში დათრგუნება დიდებითა და პატივით მოსილი სახელი უძლეველი ვახაბისა... უჰ, არაკაცთა მოდგმისავ... — აშარი ფიქრები კი არა, თითქოს გავარვარებული ნაკვერჩხლები უთუთქავენ, თითქოს ცხელი ლურსმნები უჭყლეტენ ტვინს და ეს ჰერკულესივით დიდკაცი, თავის შეუვალ მეურვეს ავზნიანი ნადირივით გარს დასტრიალებს.

ვახაბის დარაჯი ჯერ ისევ ახალაღერილი ჭაბუკი ჩანს, მაგრამ დაკაცებული, განიერი, მეხახავით ჩადგმული. იერზე ემჩნევა — გულში ცეცხლი უნთია, ნირზე ეტყობა — მუხლებში ჯარი უდგას: გული სახტულს არ ეტევა, მუხლი აქვს მელისა, თვალი — ავაზისა. იგი, მართლაც, რომ აინუნშიაც არ აგდებს გაავებულ მეტოქეს, დონკიხოტური დგას და უდარდელად, ისეთი სიმშვიდით გასცქერის „ვეფხვების" კარზე ზეირთებად მიმავალ იერიშებს, ჭაბუკი რას მიჰყავს, იფიქრებ, ეს კაცი მინდორზე დაბრძანდა.

მეურვის ჭარბმა სიმშვიდემ ერთიანად გადარია და გააცოფა ვახაბი, და მოურჩენელი ჯავრისაგან დაბრმავებულმა „ვეფხვმა", იმ მწვანე მინდორზე მთელი [illegible] შხამი და სამსალა გადმოანთხია:

— უჰ... ძაღლო, მაშ მე ვახაბი არ ვიყო, თუ შენი გაჩენის დღე, შენვე არ გაწყევლინო!

და პირზე მომდგარი დორბლი ვეება ხელისგულით მოიწმინდა.

უცრად... ამაო, ფიქრო კაცისავ!

— ქუსლური!... ქუსლური!... ქუსლური!... — ზარის რეკვასავით ჩაესმა ვახაბს.

და „ვეფხვს", — ტყვიასავით წარბები გაეხსნა, შუბლზე ღარები ამოევსო, თვალებში მკვლელის ელვა ჩაეხაბა, ტუჩები ცბიერმა, გაქურდულმა, გაყიდულმა ღიმილმა მოუწკრია. „ჩემო ყოჩაღო ქართველო, ახლა სადღა წამიხვალ, — ფიქრობს დამშვიდებული „ვეფხვი", — ისეთ ფათერაკს დაგიგებ, სიკვდილამდე გახსოვდეს!.. იმ ჯადოსნურ ფანდს გაგიკეთებ, რომლის საიდუმლო ბრიტანეთის ლომებმა ლონდონელმა დუგლასმა და შოტლანდიელმა მაკლოიმაც ვერ შეიცნეს".

ახალგაზრდა მცველს — არ გამოეპარა ვახაბის არც ლანძღვა-გინება, არც მისი გულისამრევი მანჭვა-გრეხვა. „ეს ცბიერი „ვეფხვი" ისე მიტრიალებს, ისე მიბრიალებს ამ თავის სისხლიანა თვალებს, მგონი რაღაცას მიპირებს... ფრთხილად, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყო... და საშუალება"...

ახალგაზრდა მცველს მეტოქის ხმამ დაუკარგა ფიქრი.

— აჩრე! — გასძახა ვახაბმა მარცხენა ფრთაზე განმარტოებით მდგარ მალაილს, წელში ოდნავ მოხრილ გარემარბს, — ბურთს რომ მიიღებ, მაშინვე აქეთ გადმომიგდე!

...ლოდინი დიდხანს არ დასჭირდა. „ვეფხვებმა" მასპინძლების ნახევარზე შეტევა მოიგერიეს და ისევ იერიშზე გადმოვიდნენ. ნახევარმცველმა ბურთი შუამარბს გადასცა, შუამარბმა მარცხენა ფრთაზე გარემარბს გაუგორა, ამ უკანასკნელმა კი, მოედნის ცენტრალური ხაზი გადასერა და ვახაბს გადმოუგდო ბურთი.

ვახაბი წელში გაიწორდა, მხრები საჭიდაოდ გამოსული ფალავანივით შეათამაშა და იმ თავისი ოდნავ ელამი თვალების ბრიალით მეურვისაკენ დაიძრა.

მასპინძლების ახალგაზრდა მცველი უმალ უკუიქცა, რამდენიმე ნაბიჯი უკანმოუხედავად გაირბინა, შემდეგ უცებ შემოტრიალდა და გარღვევაზე წამოსულ ვახაბს საჯარიმო მოედნის მისასვლელთან უცდა.

„ვეფხვი" თავისი მეურვის ამ მარტივმა, მაგრამ მოულოდნელმა მანევრმა არ დააბნია, პირიქით, ეს მოკაცე გასაოცარი სისწრაფით ამოქმედდა. მარცხენა ფეხი წინ წადგა, ტანის მთელი სიმძიმე მასზე გადაიტანა, მერე მარჯვენა ფეხის ქუსლი უკანმოტოვებულ ბურთს ირიბად ამოჰკრა და საჯარიმოზე შეიჭრა.

ტრიბუნები საერთო სიცილმა შეძრა...

ვახაბი სწრაფად უახლოვდება კარს... და, უკვე „პენალტის" წერტილს მიაღწია...

სიცილი ისტერიულმა ხარხარმა შეცვალა...

კარამდე რამდენიმე ნაბიჯიღა დარჩა...

„იცინეთ, იცინეთ, თქვე ფანდების უნახავებო, ხომ შეგირცხვინეთ ფალავანი... ახლა წავიღებ და ხიცე თავისას იტყვის, იქ ჩემიცა თქვას... მაშ, რა გეგონათ, აგრე იცის ვახაბმა", — ზეიმობს გუნებაში სიხარულით გაბრუებული „ვეფხვი".

ვახაბმა დაცლილი მგლის მზერა ახლა მის პირისპირ დარჩენილ მეკარეს მიაპყრო.

მაგრამ... ეს რა ხდება... ჰოი, საოცრებავ!.., ვახაბის თვალებს მსგავსი არაფერი უხილავთ.

მეკარე სიძე-ბატონივით მიპატიჟებია კარის ძელს და გულიანად იცინის.

რამ გადარია ეს კაცი! მაყურებელთა სიცილი გასაგებია — ისეთი [illegible] უყო მათ ნაქებ მცველს, თვალებიდან სულ ნაპერწკლები აყრევინა, ამგვარი ფანდი ტრაპიზონის გაუცინარ ხელმწიფესაც გააცინებდა. მაგრამ ამ საცოდავს რა აცინებს, ნუთუ ის, რომ საცაა „მკვლელი" ბურთი კარის ბადეს შეუხვევს?

— სიცილს ტირილად შეგაცვლევინებ, ჯამბაზო! — დაიღრიალა ვახაბმა და ის იყო დამაგვირგვინებელი დარტყმისათვის მოემზადა...

ფეხებქვეშ უხილავი სიცარიელე იგრძნო... მიწას დახედა, სადღაა ბურთი, ვახაბ!...

გულში რაღაცამ გაჰკრა, თავში საშინელმა ეჭვმა გაუელვა... თოფნაკრავივით მოტრიალდა და... ამას რას ხედავს:

მისი მეურვე არხეინად წამოწოლილა მიწაზე და ფეხებშუა მოუმწყვდევია ბურთი.

„ვეფხვი" ყველაფერს მიხვდა. უცხარმა ცეცხლმა [illegible] დაჰკრა და თავით ფეხებამდე დაუარა. თვალთ დაუბნელდა, კრიჭა შეეკრა, გონი აერია.

ერთ ხანს [illegible] იდგა და ამ თავის, ურმის ბორბლებივით თვალებს უაზროდ აბრუნებდა. მერე თავზარი მოეცა, სირცხვილი შეუდგა და ცხელი წყლიდან ერთბაშად მდუღარეში მოიხვდა. მერე აბურდა სირცხვილმა, უზომოდ იბუღუნა, მაღლი კალთით დაიბერტყა და იმ სირცხვილმა ვახაბისათვის ყველა თავისი სიკეთე გაიმეტა: ნელ ცეცხლზე შეხვა, ის კუნძივით თავპირი საალდგომო კვერცხით შეუღება, თავზე ათი ჩაფი ლაფი გადაასხა, ეს ამოდენა კაცი წელში ოთხად მოკაკვა, წელანდელი გოლიათი ქონდრისკაცად აქცია და საჯარიმო მოედნიდან ნაცემი ძაღლივით გააგდო.

სტადიონი აღარ იცინოდა, ახლა ტრიბუნებს ათასი ხელისგულის ცემა, ათასი კივილი, ათასი ძახილი აზრიალებდა და აზანზარებდა.

* * *

მეორე დღეს, ქალაქში ფარდულებს ისევ გრძელი კუდები გამოება.

სპორტული მიმომხილველი წერილს ასე ამთავრებდა: „ჩვენი გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ახალგაზრდა მცველმა ანზორ ახალკაცმა... სტუმრების ერთ-ერთი იერიშის დროს, მან ისე კოხტად [illegible] ბურთი „ვეფხვების" ცენტრფორვარდ ვახაბს, რომ მრავალბრძოლგადახდილმა ამ ფეხბურთელმა ვერაფერი გაიგო, კარგა ხანს უბურთოდ ირბინა და მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის მარცხს, როცა მეკარის პირისპირ გაჩნდა"...

ლიტ-ტურ-საქ-ლო-3

სეროვი მეგობრობდა ამირაჯიბებს

რუქრთმებით მოვარაყებულ სადარბაზო შესასვლელის კარზე თვალი მოვკარი თითბრის მომცრო დაფის წარწერით: „შრომის გმირი პროფესორი კ. ამირაჯიბი". რას ვიფიქრებდი, თუ პირველი ქართველი მექანიზატორის კერაზე დაუპატიჟებელი სტუმრობა [illegible] გამოჩენილი რუსი მხატვრის ცხოვრების საინტერესო შტრიხს და ერთ პაწაწკინტელა ფურცელს შემავსებინებდა. მეორე სართულის მორთულობა მდიდრული როდი იყო. მაგრამ მაინც თავისებურებით გამოირჩეოდა. თითქმის ყოველ საგანს, შეიძლება ყოველ დეტალს თავისი წარსული და ისტორია აქვს. ფორტეპიანოს, რომელიც ოთახის ცენტრში დგას, თურმე უკრავდა კონსტანტინეს და, ერთ დროს საკმაოდ ცნობილი მუსიკოსი და კომპოზიტორი ბარბალე. სალონისფერ კედელს ამშვენებს უცნობი მხატვრის ნამუშევარი „კონსტანტინე სტუდენტობის დროს", მის პირდაპირ კი ფერწერულ ქმნილებათა მთელი სერიაა. ჩუმათ, ჩემთვის ვკითხულობ სურათქვეშ გაკეთებულ მოკლე წარწერებს: „საგვარეულო სახლი აულევში", „არაზინდი", „ბარბალე როიალთან"...

— ბარბალე კომპოზიტორია, მაგრამ ვინღაა ფერმწერალი? — ვეკითხები ღრმად მოხუცებულ მასპინძელ ქალს.

— კონსტანტინეს მეორე და — ანასტასია — ღიმილით მომიგო და მეორე ოთახიდან მხატვარი ქალის პორტრეტი გამოიტანა. „მისმა სურათმა — „ბარბალე როიალთან" — 1902 წლის გამოფენაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა" — დასძინა შემდეგ [illegible] ფოტოსურათების ალბომს. აი მ. ერმოლოვას იშვიათი პორტრეტი. საბასი როლის შემსრულებლის. „რუსული თეატრის მთელი ეპოქის" შემქმნელის ერთ სურათს ამშვენებს ლაკონური წარწერა: „ანასტასია მიხეილის ასულს. კეთილმოსურნეობით. 1896 წელი. 18 დეკემბერი". მაშასადამე, ერმოლოვა ამირაჯიბთა ოჯახთან ახლოს ყოფილა!

— მარიამ ერმოლოვას პორტრეტი ტრეტიაკოვის გალერეაში ინახება მოსკოვში, — [illegible] წამოვიძახე ანაზდად.

— იგი ჩვენი ოჯახის მეგობარმა ვალენტინ სეროვმა შექმნა 1905 წელს, — გამომიხმაურა ქართული მექანიზაციის ფუძემდებლის მეუღლე ქეთევანი და სეროვებისა და ამირაჯიბების ოჯახთა ურთიერთობის ამბავი გამაცნო. ეს მეგობრობა კი შემთხვევითი როდი იყო. მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში უმოგზაურიათ და ფერწერული ტილოები შეუქმნიათ რუს მხატვრებს მ. ივანოვს, ვ. მოშკოვს, ნ. ჩერნეცოვს, მ. გაგარინს, ვ. ვერეშჩაგინს, ი. აივაზოვსკის, ნ. იაროშენკოს...

სეროვი საქართველოში ჩამოსულა 1883 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. თავის მეგობარ ფონ დერვიზთან ერთად ხშვევია თიანეთს. შემდეგ ადგილობრივ მამასახლისს სოსიკა მაჩიტაშვილს. როგორც თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალებიდან ვგებულობთ, სეროვს იმ დღეებში სოსიკას პორტრეტი შეუსრულებია. მხატვარი უკვე იცნობდა საქართველოს, როცა ამირაჯიბთა მოსკოვურ კერას პირველად ესტუმრა. სოფიო ამირაჯიბი თავისი ორი ქალიშვილით, რომლებიც მოსკოვში სწავლობდნენ, არბატის ქუჩაზე ცხოვრობდა. ბარბალე მუსიკას ეუფლებოდა. ანასტასია კი ფერწერის სასწავლებელში მეცადინეობდა. ვ. სეროვი მისი ერთ-ერთი პედაგოგი იყო. სოფიო ამირაჯიბს მოსკოვში იცნობდნენ, როგორც განათლებულსა და საზოგადო მოღვაწე ქალს. 1909 წელს მან რუსულად თარგმნა და მოსკოვში გამოსცა ქართველი პოეტების ლექსთა კრებული. ერთ დროს აკაკი წერეთელმაც მას ლექსიც უძღვნა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სოფიო ამირაჯიბთან ხშირად იკრიბებოდა მოსკოვში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა და ოჯახი გულითად მასპინძლობას უწევდა მოწინავე რუს ინტელიგენტებს. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის ძმა მოდესტი, მსახიობი მ. ერმოლოვა, მხატვარი ვ. სეროვი და მისი მეუღლე ოლღა, რომლის პორტრეტი ქმარმა 1895 წელს შექმნა. ეს უკანასკნელნი კონსტანტინე და ქეთევან ამირაჯიბებმა მოსკოვში გაიცნეს, საქორწილო მოგზაურობის დროს. გაიგეს თუ არა მათი ჩასვლა, ამირაჯიბთა ოჯახს მაშინვე ეწვივნენ სეროვები და ახალგაზრდა ცოლ-ქმარს გაბედნიერება მიულოცეს. მოსკოვში ყოფნის პერიოდში ისინი დარწმუნდნენ, რომ ვალენტინ სეროვი მეტად აფასებდა ანასტასიას ნიჭს, ხელს უწყობდა და ამხნევებდა, რათა ფერწერის ასპარეზზე გამოსულიყო. მხატვარი და მისი მეუღლე ყოველ კვირა დღეს ესტუმრებოდნენ ხოლმე ქართულ ოჯახს და დიდხანს საუბრობდნენ სოფიო ამირაჯიბთან.

— ხომ არ ინებებთ ტილოზე აღბეჭდო თქვენი სახე? — მიმართა ერთ დღეს ქეთევანს სეროვმა.

— ეს სასიამოვნო სურპრიზი იქნება ჩემთვის, — მიუგო პატარძალმა.

მეორე დღეს მთელი ოჯახი მცირე თეატრში წავიდა მ. ერმოლოვას პატრონაჟით გამართულ საღამოზე. ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილ ქეთევანს მხოლოდ წარმოდგენის დაწყების შემდეგ გაახსენდა, რომ იგი მხატვართან უნდა წასულიყო.

ქეთევანი მალე თბილისში დაბრუნდა და სეროვმა ვერ შეძლო მისი პორტრეტის შექმნა. სამწუხაროდ, ეს ქმნილება ვეღარ მოხვდა რუსული ფერწერის საუნჯეთა ფონდში.

გავიდა ათეული წლები და გამოჩენილი რუსი მხატვრის ნათელ სახეს ახლაც არ ივიწყებენ, იგი მარად ცოცხალი წარმოუდგენიათ. როცა მისი ქართველი მოწაფე ქალის ნამუშევრებს შეხედავენ, ოჯახში მადლიერების გრძნობით იხსენებენ ვალენტინ სეროვს, რომლის დაბადების 100 წლისთავი 19 იანვარს იზეიმეს ჩვენს ქვეყანაში.

ივ. ჯავახიშვილი

ვარლამ ჟურული

ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ ქართველ მწერალთა რიგებს გამოაცალა ჯერ კიდევ შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ნიჭიერი პოეტი ვარლამ ჟურული.

ვარლამ ნიკოლოზის ძე ჟურული დაიბადა 1905 წლის 15 სექტემბერს ქუთაისის ყოფილი გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩიბათში. სწავლობდა ჯერ სოფლის, ხოლო შემდეგ ქუთაისის სკოლაში. 1935 წელს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა.

ლექსების წერა ვარლამ ჟურულმა ბავშვობიდანვე დაიწყო. მისი პირველი ნაწარმოებები 1924 წელს გამოქვეყნდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მას შემდეგ სიკვდილის დღემდე ვ. ჟურულს ხელიდან არ გაუგდია კალამი.

მისი ლექსების პირველი წიგნი „ვარდის ფურცლობა" 1934 წელს გამოვიდა და ვ. ჟურულის უტყუარი პოეტური ნიჭი მკითხველმა საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა.

ვარლამ ჟურული ოთხი ათეული წლის მანძილზე დიდი სიყვარულით და ჭეშმარიტი პოეტური შეგნებით ემსახურებოდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურას. მშობლიური მიწა-წყლის, მშობელი ხალხის და ქართული სიტყვის უსაზღვრო სიყვარულით ანთებული პოეტი ქმნიდა ჩვენი ისტორიული წარსულისა და ბრწყინვალე თანამედროვეობის ამსახველ მღელვარე საგალობლებს. მისი შემოქმედება მუდამ დღევანდელობის სამსახურში იდგა. მისი ლექსი დახვეწილი და ტკბილი იყო, ფრაზა — ხატოვანი და ფრთიანი. ამიტომაც იყო, რომ მისი პოეტური კრებულები „ვარდის ფურცლობა", „ნარინჯი", „ჩრდილოეთის დღიურიდან", „ჩვენი გაზაფხული", [illegible], „გზის ცრემლები" და სხვ. შეიყვარა ჩვენმა მკითხველმა. ხოლო მრავალი ლექსი სიმღერად იქცა და ითარგმნა რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

გარდა პოეტური მოღვაწეობისა ჩვენს პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ვ. ჟურულის მხატვრული ნარკვევები, რომლებშიაც ასახული იყო ჩვენი კოლმეურნე გლეხობის, მუშათა კლასისა თუ მშრომელი ინტელიგენციის გმირული შრომა და ცხოვრება.

ვარლამ ჟურული ავტორი იყო რამდენიმე კინოსცენარისა, რომლებიც საფუძვლად დაედო თბილისის კინოსტუდიის მიერ შექმნილ ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმებს. გარდა ამისა, მასვე ეკუთვნის რამდენიმე ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმის სადიქტორო ტექსტი.

ვარლამ ჟურული ნიჭიერი ჟურნალისტიც იყო. მისი სტატიები და წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა ჩვენს პრესაში. იგი წლების მანძილზე მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის", „ახალგაზრდა კომუნისტის", ჟურნალ „დროშის" რედაქციებში. უკანასკნელ ხანებში ვ. ჟურული გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის თანამშრომელი იყო.

წავიდა ჩვენგან სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პოეტი, უღრესად თავმდაბალი, კეთილშობილი და თავაზიანი ადამიანი, საუკეთესო ამხანაგი და გულთბილი მეგობარი, მაგრამ დარჩა მისი შემოქმედება, რომელიც ასეთი შთაგონებით უმღერის სამშობლოს ვარდის ფურცლობას, მზეს და სიცოცხლეს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

კეთილი მეგობარი

რარიგ კეთილი და თვინიერი, სადღაც ჩრდილში მიკარგულ ყვავილივით წმინდა, ფაქიზი სულის მქონე პოეტი იყო ჩვენი ვარლამ ჟურული...

და ყველა ჩვენთვის რარიგ გულდამწყველია მისი საუკუნოდ დამშვიდობება...

განსაკუთრებით ჩვენთვის, მისი ახლო მეგობრებისათვის საძნელოა, რომ ჩვენ შორის აღარ იქნება ვარლამი, ყოველ შეხვედრისას, ბავშვივით პირმოცინარი, რაღაც იდუმალი გზნებით მუდამ სიმღერად მომართული, მარცხენა წარბის აწევით თავის რომელიმე ახალ ლექსს რომ გვეტყოდა, ისე უშუალო და ძალდაუტანებელი, ხალასი და ბუნებრივი, როგორიც თვითონ იყო.

მერე ამ ლექსს სტრიქონ-სტრიქონ ჩვენს გემოვნებაზე შეამოწმებდა... და ეს სტრიქონები ახლად მოკრეფილ ვარდ-ყვავილებივით იყო, ჯერ კიდევ ნამშეუმშრალი, მისი ოცნების ცისფერ ნისლში მოთრთოლვარე...

და თუ არ შეგხვდებოდა, მაინც გრძნობდი, რომ აქ სადღაც დადიოდა ეს პოეზიის ნამდვილი ბოჰემა, კარგი ლექსისთვის თავშეწირული.

ვარლამ ჟურულის ულექსოდ წარმოდგენაც არ შეიძლება, რაც ერთი უმთავრეს ნიშანთაგანია, რომ იგი ჭეშმარიტი პოეტი იყო.

თავისი ლექსებივით ალალი იყო ვარლამი ცხოვრებაშიც, — სათნო, გულღია, ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე.

რასაც კი დაწერდა, მხატვრულ ნარკვევს თუ სადიქტორო ტექსტს, ყველაფერს ცხოვლად აჩნდა მისი ნათელი ნიჭი...

მაგრამ ყველაზე მაღალი მისთვის მაინც პოეზია იყო...

ყველაზე სანუკვარი, — მოხდენილად ნათქვამი სტრიქონი...

ხოლო, ყველაზე საყვარელი — მისი სამშობლო საქართველო.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო, ჩვენო დაუვიწყარო ძმაო ვარლამ!

დავით გაჩეჩილაძე

ახალი თარგმანები

ჯორჯ ბაირონი

დასრულდა შენი სიცოცხლის გზა...

დასრულდა შენი სიცოცხლის გზა, ახლა იწყება
გზა დიდებისა, სულ იცოცხლებს შენი სახელი,
დიდება შენი, ქება შენი, აღარ მიწყდება
და სულ აბრწყინებს შენი ხმალი მტრების მსახვრელი.
სამშობლომ გმირად გაღიარა შვილი რჩეული,
ცხარე ბრძოლებში გამარჯვებას მუდამ ჩვეული.

თავისუფლება მოგვიტანე, სისხლი რომ წვიმდა,
დაეცი, ძლიერ მტერს ეკვეთე თავგამეტებით,
სისხლი, რომელიც შენ დაგდინდა, ის სისხლი წმინდა
ნებას არ გვაძლევს მოვაყაროთ გულზე ბელტები.
ის შენი სისხლი ჩვენს ძარღვებში სჩქეფს ახლა, რადგან
კეთილშობილი სული შენი ჩვენს სულში ჩადგა.

შენი სახელი ბრძოლის ველზე კვლავ გაგვიძღვება,
მტერს თავზარს დასცემს, გაუსკდებათ შიშისგან გული,
ძალას შეგვმატებს სიმამაცის შენის დიდება
უმშვენიერეს ქალწულთაგან სიმღერად თქმული.
ჩრდილს მიაყენებს შენს დიდებას ცრემლი და მოთქმა
არ დაგიტირებს ამიტომაც შენ შენი მოდგმა.

* * *

ოდა ფრანგულიდან

I

ვატერლო! წყევლას არ გითვლით, არა,
თუმცა შენს ველზე სისხლი დაღვარა
თავისუფლებამ, მაგრამ სრულიად
იმ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია.
იგი ამოჩქეფს ჭრილობებს მკერდში,
ვით ოკეანის სიღრმიდან სმერჩი.
და მაღლა ჰაერს შეარყევს ძლიერ,
რომ შეუერთდეს ლაბედოიერს.
რომ მკვდარ სხეულში ჩქრიალით უვლიდეს
მამაცთა შორის მამაცს უდიდეს.
გავს ცად აჭრილი ეს სისხლი ვულკანს,
რომ დაუბრუნდეს მიწასვე უკან.
და რომ იქცევა უდიდეს ღრუბლად,
საშინელ მეხად გასკდება უცბად.
ამგვარი მეხი ქვეყნად ნამდვილად
ჯერ არასოდეს არ გავარდნილა.
არვის უქნია ელვა ნახული,
ასე ბრწყინვალე, ასე ზღაპრული.
იგი კუდიან ვარსკვლავის მსგავსად
ღრუბლიდან ზეცას გაჰკვეთს ნავსად,
მიწას აწვიმებს ცეცხლის ალმასებს
და [illegible] სისხლით ალავსებს.

II

ნაპოლეონი აქ დაეცემა,
მაგრამ მტრის ხელით როდი ძლეულა
ვატერლოს ველზე. მან არ უწყოდა
მარცხი რა იყო, სანამ უძღოდა
თავისუფალ ხალხს გმირული ბრძოლით,
მაშინ არ ჰყავდა მას ქვეყნად ტოლი.
მას ფრანგი ხალხის სწრაფვა [illegible],
სანამ არ იქცა თვითონ დესპოტად
და არ გაცვალა მტრების მსახვრელი
მეფის გვირგვინზე გმირის სახელი.
მაშინ დაემხო, როგორც კოლოსი
ემხობა ხალხის დამამხობელი.

III

შენ, მბრძანებელო მრავალ ქვეყნისა,
სამშობლოს მიწაც კი არ გეღირსა.
გერჩია ფრანგ ხალხს ომში ბოლომდის
მტრის წინააღმდეგ რომ გაძღოლოდი.
ოღონდ დიდების კალთა ფიტული,
არ მეგულინა მეფის ტიტული.
ერთი მიყვდაი მეფის სახელი
შენთვის მახე და საძრახველი.
შენ არც ფიქრობდი მეფობას, ალბათ,
როცა ცხენდაცემულ მიჰქროდი სწრაფად
მტრის ლაშქრისაკენ ძლევამოსილი
და ჩაჰკრავდი ლეგიონს ხმალამოწვდილი.
მაშინ ბრძოლაში იყავ მედგარი,
ვით მლეწი ტალღა ყალყზე შემდგარი.
მტერს ბალახივით ხმლით [illegible]
და არ გახსოვდა ბედი მეფეთა,
რომ გიმზადებდა იქვე მახლობლად
შენივე მონის ხელით დამხობას.
ვით ტალღებს მთვარე და ვარსკვლავთ გუნდი
ერთგვარად უძღოდა ჯარს შენი ქუდი,
ეგ თეთრფრთიანი ქუდი ქათქათა,
ვით გზის გამკვლევი ბნელში ლაშქართა.
მას შეჰყურებდა მებრძოლი შორით,
კვამლი ბურავდა თუ წვიმის თქორი
და თუ თეთრი ფრთა კვლავ წინ მიჰქროდა
მებრძოლიც სულ წინ ქროლვას ფიქრობდა.
წინ მიიწევდნენ თავგამეტებით,
სასტიკ ბრძოლაში მტერზე კვეთებით.
მიუხაროდათ ცეცხლში, ვით ლხინში
და არ იყოდნენ სიკვდილის შიში.
ხმლის ელვაში და დროშების ტყეში
თუმც ირგვლივ იყო ტყვიების თქეში,
მათ იფარავდათ რაღაც განგებით
არწივიანი დროშა ფრანგების
(ძირს ვინ დახრიდა იმ დროშას მაშინ,
სულ წინ მომავალს დიდების მარშით,
იმ არწივის ფრთებს ძირს ვინ დახრიდა,
მტერს რომ ცეცხლსა და რისხვას
აყრიდა!)

სადაც მტრის ძალას სტეხავდნენ ძალით,
იქ მიურატის ბრწყინავდა ხმალი.
ისიც დაეცა თვალდახუჭული,
აღარ იქუხებს ხმალდაბლუჯული.

IV

თაღები იქცნენ ლოდების გროვად,
მტერს ზეიმი აქვს, საფრანგეთს — გლოვა.
და მას მოთქმით, ვით ნისლში სხივი,
თავისუფლებას იმედი ღვივის.
ხმალს თვით აიღებს თავისუფლება
და თალხით აღარ დაიღრუბლება.
საფრანგეთისთვის ხანა [illegible],
ეს არის, ფრანგმა ისწავლა ჭკუა!
მტარვალ დაუკრა მას გაკვეთილი,
გმინავს დაჭრილი და დაღლილი.
ერთგვარად ღლეჯდნენ მას გამეტებით
ნაპოლეონი და კაპეტები.
სამართალს უნდა დაუბრუნოს იგი,
რომ დაამყაროს წესი და რიგი.
თავისუფლების მოთხოვნილება
თვით დესპოტისგან აქვს ყველა ქმნილებას.
თუმც ბოროტება მას ბრძოლის მედამ
და ყველგან მისი მოსპობა უნდა.
სურს გადაჩეხოს ცოდვილი ხელით
სამყაროს ნგრევის ღრუბელი ბნელი;
რომ ხალხთა სისხლის ვრცელ ზღვებს [illegible]
მეუფეებს
ეპატონ კვლავაც სისხლის მდინარე.
მაგრამ კაცთმოდგმის გულს და გონებას
ქვეყნად რა ძალა გაუტოლდება?!
თუ ორივ ერთი ფიქრით აღდგება,
რა ძალა დახვდება მას, რა განგება?!
ხმლის დრო წავიდა, ამ დღემდე მისულს,
კაცს მოკლავ, მაგრამ ვერ მოკლავ მის
სულს.

რომ არ ჰყოლია, ახლა იმდენი,
თავისუფლებას ჰყავს მემკვიდრენი.
თვით დაამკვიდრებს ხალხი სამართალს,
თავისუფლების დროშას აღმართავს
და გაბრწყინდება ვით სასწაული.
მაშინ მტარვალებს ძრწოლა დაუვლით.
ძირს დაანთხევა მტარვალთა შხამი,
მათი განკითხვის დადგება ჟამი.

თარგმნა გრ. აბაშიძემ.

იონა მეუნარგიას სახლი

ცაიშის სანატორიუმის გადასახედიდან კაცს თვალში ეცემა გაღმა ფერდობზე განმარტოებით მდგარი დიდი ოდა და მისგან რამდენიმე მეტრით დაცილებული ქვიტკირის შენობა.

ოდაც და ქვიტკირის სახლიც ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს იონა მეუნარგიას ეკუთვნოდა. ახლა — ეს მიტოვებული კარმიდამო, უკარ-ფანჯრებო ოდა, საცალფეხო ბილიკი ცეცხლზე და მოუვლელი ეზო მნახველზე ტრიალ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ალბათ ბევრმა ჩვენგანმა იცის, რომ ამ სახლში ითარგმნა პირველად „ვეფხისტყაოსანი" ინგლისურ ენაზე, რომ ამ სახლისა და მისი მეპატრონის ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი ქართველი მწერლები, რომ აქ ხშირად უფიქრიათ საქართველოს ბედზე და უმოლაპარაკიათ ქართული კულტურისა და ქართული აზრის მომავლისათვის.

იონა მეუნარგიას გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ ნინომ ხის ოდა ცაიშში სკოლას უანდერძა. როცა ცაიშში სკოლას ახალი შენობა აუგეს, სახლი სოფელ ოქტომბერში გადაიტანეს, ხოლო როცა აქაც დაიწყეს სკოლის კაპიტალური მშენებლობა, სახლი კვლავ ძველ ადგილას, იონა მეუნარგიას კარმიდამოში დააბრუნეს. მას უკან აგერ ორ წელიწადზე მეტი გავიდა, დღეს იონა მეუნარგიას სახლი უპატრონოდ და უმეთვალყურეოდ. მაშინ როცა არც დიდ სიძნელეს წარმოადგენს და არც დიდ თანხებს მოითხოვს მისი შეკეთება, სათანადო ექსპონატების დაგროვება, მისასვლელის გაკეთება და ამ მემორიალურ შენობაში საზოგადოებრივ საწყისებზე სახლ-მუზეუმის მოწყობა.

ოტია პაჭკორია,
ალექსანდრე მიქავა.

◆

სოფლის ბიბლიოთეკა — კულტურის კერა

აუარიბელი მიმსვლელ-მომსვლელი ჰყავს არხილოსკალოს სასოფლო ბიბლიოთეკას (გამგე ნ. კობაიძე). ზოგი სამკითხველო დარბაზში თვალიერებს ჩაჰკირკიტებია წიგნებს, ზოგს კი ფანქარი და რვეული მოუმარჯვებია და რაღაცას იწერს წიგნიდან. მართალია, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მევენახეობისა და მემინდვრეობის ბრიგადებში ბიბლიოთეკას 11 მოძრავი განყოფილება აქვს გახსნილი, მაგრამ ეს მაინც ვერ აკმაყოფილებთ არხილოსკალოელ კოლმეურნეებს. მათ ძლიერ უყვართ წიგნი. ზოგი მათგანი თვითონაც წერს ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს... და ამ ნაწერებს იხილავენ ბიბლიოთეკის ლიტერატურულ წრეში. ბიბლიოთეკის 710 მუდმივი მკითხველიდან 98 ლიტერატურულ წრეშია ჩაწერილი. გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიც ხშირად ქვეყნდება მათი ლექსები. [illegible]

[illegible]

ვერიკო ანჯაფარიძე ახალ როლში

აგერ უკვე რამოდენიმე წელიწადია, რაც მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლ „მედეაში" მაყურებელს ხიბლავს ვერიკო ანჯაფარიძის შემსრულებლობითი ოსტატობა. და აი, ამ დღეებში ვერიკო ანჯაფარიძე ჩვენ ახალ სპექტაკლში ვიხილეთ. ეს არის ცნობილი ჩეხი პროზაიკოსისა და დრამატურგის კარელ ჩაპეკის ორმოქმედებიანი დრამა „დედა" (თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა), ამ სპექტაკლში ვ. ანჯაფარიძე ასრულებს დედის როლს, რომელმაც დაჰკარგა მეუღლე და შვილები. ვ. ანჯაფარიძის დედა ერთ-ერთი თვალსაჩინო სახეა მსახიობის მიერ შექმნილ პერსონაჟთა გალერეაში, იგი კვლავ გვაგრძნობინებს ვ. ანჯაფარიძის ტალანტის სიძლიერესა და მომხიბვლელობას.

პიესა დადგა მედეა კუჩუხიძემ. ეს თბილისის დიდ თეატრებში ახალგაზრდა რეჟისორის მეორე დადგმაა. გასულ თეატრალურ სეზონში მან გრიბოედოვის თეატრის სცენაზე წარმოადგინა ხაკეტისა და გუდრიჩის „ანა ფრანკის დღიური".

„დედა" მხატვრულად გააფორმეს დ. ნოდიამ და თ. სამსონაძემ, მუსიკალური გახმოვანება ეკუთვნის ლ. ჭიმჭიშვილს. როლებს ასრულებენ: ალ. ომიაძე (მამა), თ. მელვინეთუხუცესი (ონდრა), ს. გოგიჩაიშვილი (ირჟი), თ. არჩვაძე (კორნელი), მ. ბებურიშვილი (პეტრი) და ნ. მგალობლიშვილი (ტონი).

სცენა სპექტაკლიდან „დედა". სურათზე: დედა — ვერიკო ანჯაფარიძე, კორნელი — თენგიზ არჩვაძე.
ფოტო მ. როსტიაშვილისა.

სტუდენტთა პრემიერა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ნ. არეშიძის სამმოქმედებიანი მელოდრამა „ვინ არის დედა". სპექტაკლი დადგა თეატრის რეჟისორმა, მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა კ. მჟავანაძემ. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ქ. ციცხვაიას. მუსიკალური გაფორმება — პ. მაჩაიაშვილს.

დ. შიშილაშვილი

◆

ესთეტიკური აღზრდის კომისიის სხდომაზე

ამ დღეებში საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის კომისიის სხდომაზე განიხილეს ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსების ახალი წიგნი. მოხსენებით გამოვიდა პოეტი ზაურ ბოლქვაძე.

მომხსენებელმა ილაპარაკა ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტურ თავისებურებებზე, ხაზი გაუსვა მისი პოეზიის მთავარ მოტივებს, აღნიშნა, თუ რა ძალუმად იგრძნობა ჯ. ჩარკვიანის ლექსებში სამშობლოს სიყვარული. ამავე დროს ზ. ბოლქვაძემ დამსწრეთ კრიტიკული შენიშვნებიც გაუზიარა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ფ. ბერიძემ, ზ. პუმბურიძემ და გ. ასათიანმა.

ტელევიზორს გამოვთიშავ...

ფელეტონი

რა საძაგელი ამინდია, დილიდანვე თავს ცუდად ვგრძნობ. ალბათ გაციებული ვარ.

შინ მივედი თუ არა, ლოგინში ჩავწექი.

ახლა რომ ექიმს დავუძახო, მაშინვე დამინიშნავს ვალიდოლს, კარდიამინს, კოფეინს და კიდევ რაღაც სხვა წამლებს.

არ მინდა.

მე ვიცი წამალი. მე ახლა კარგი მუსიკა, ტკბილი, ჟრუანტელის მომგვრელი მელოდიები მომარჩენს.

განა ადამიანს ყოველგვარ უსიამოვნებას აფთიაქში დამზადებული წამალი სჭირდება? მომასმენინეთ ქართული ხალხური მელოდიები და, ღმერთმანი, გამივლის თავის ტკივილიც და გულის კვნესაც... მომღერეთ ფალიაშვილის „სულო ბოროტო", კახური მრავალჟამიერი, გურული „ჩემო ტკბილო მეგობარო", გულში ჩამწვდომი მეგრული სიმღერები, იმერულის „ჭრელო პეპელა ბაღში ყვავილო", შერო [illegible] „ხმა გულისა"... და თუ მაშინვე არ განვიკურნო, მითხარით, რომ არა ვარ კარგი კაცი.

ჩემს პირდაპირ ტელევიზორი დგას. თითქოს მიმიხვდა ნატვრასო, ცისფერ ეკრანზე გამოჩნდა სათნო სახე ახალგაზრდა ქალისა, რომელმაც გამოაცხადა: „ახლა ნახავთ ამა და ამ ცეკვისა და სიმღერის თვითმოქმედი ანსამბლის კონცერტს, რომლის გადაცემას ვაწარმოებთ ამა და ამ თეატრის დარბაზიდან".

სცენაზე შემოვიდა ორი მშვენიერი ქალიშვილი. სწორედ ასეთ დაშვენებულებს იმღერონ „ჩემ ბაღნარშია წამოწოლილა"... კარგახანია აღარ მომისმენია. ო, რა მშვენიერია ეს სიმღერა, როცა ორ ხმაზე ასრულებენ, მითუმეტეს ორკესტრთან ერთად! მაშ იმღერეთ, ქალიშვილებო! აჰა, მე თვალებს დავხუჭავ და მხოლოდ სმენად გადავიქცევი.

მაგრამ ეს რა ამბავია! დიქტორი რაღაც უცნაურს აცხადებს, ისეთ რამეს აცხადებს, რისაც არაფერი გამეგება არც მე არც დიქტორს და არც იმ ორ ქალიშვილს, რომლებმაც ის რაღაც უცნაურობა უნდა იმღერონ.

— დები ნათელა და ლალი კვახაძეები, — აცხადებს დიქტორი, — შეასრულებენ რიო-დე-ჟანეირულ სიმღერას „ორიანდო, ბრინდო — შერანდო". ტექსტი ჟან-რობერ [illegible], მუსიკა [illegible] — [illegible]. ([illegible]... — როგორც მომესმა, ისე მოგახსენებთ).

დებმა კვახაძეებმა ცხვირები მიკროფონს მიაფხვნეს და დამღერებით ასეთი რამ წამოიწყეს:

...ორიანდო, ბრინდო ორინდო ბორი,
სერებანდო, სერებალდო ჩიორე...

— დამეკარგეთ აქედან, უქნარა მეტიჩრებო! — ვყვირი. მინდა გამოვთიშო ტელევიზორი, მაგრამ ჩემი საწოლიდან ტელევიზორამდე ათი ნაბიჯი მაინც იქნება, მე კი ვწევარ ავადმყოფი.

ქალიშვილები გავიდნენ. შემოვიდა ვაჟი, [illegible] ქოჩორი.

აბა, ვაჟკაცო, შენ მაინც გამახარე. მიმღერე: „როდესაც [illegible] ტკბილად [illegible]"...

დიქტორმა გამოაცხადა: — „მეოთხე კურსის სტუდენტი ბუჭა კვინიხიძე შეასრულებს აფრიკანულ (!) ჯაზურ სიმღერას: — „ო, ხაკუ, ხრეკი, ბრახა-ბრუხ".

ვაჟმა მიკროფონი გაასწორა, პირთან მიიტანა, ჯერ ხტუნვა იწყო და შემდეგ ღმერთმა იცის, რა მოტივზე შექმნა ღრუტუნი. წარმოდგენილი მაქვს, რა წვალება გადაიტანა მან, სანამ გრამფირფიტაზე ჩაწერილ ამ სიმღერას დაიზეპირებდა.

როგორც ურო ურტყამენ ხოლმე გახურებულ რკინას და იძახის „ღრახ, ღრახ, ღრახ", ისე ის ვაჟი ორკესტრთან ერთად მირტყამს თავში:

ახ, მეჰ, მეჰ ახ, დურ, დურ,
ბრახა ბრუხ... და ასე შემდეგ.

ნეტა რამ აიძულა ეს ყმაწვილი ასეთ გაჭირვებაში ჩაეგდო თავი! ესმის კი რას ღრუტუნებს? იციან კი ამ ახალგაზრდებმა, რომ ეს ჯაზ-ბანდური ანუ უფრო სწორად ჯამბაზური სიმღერები წამოღებულია უცხოეთის კაფე-შანტანებიდან, სადაც ცეკვავენ, ღრიალებენ ან კნავიან უაზროდ [illegible] „შანსონეტკები" თავიანთ პარტნიორებთან ერთად!

— გაიწე, მოიშორდი! — ვუყვირი ლოგინიდან მომღერალს, — აღარ გამაგონო შენი ხმა.

დაამთავრა ღრუტუნი და მიდის. მადლობა ღმერთს! მაგრამ ვაი, ეს რა ხდება! [illegible] დაბრუნდა. ვინ დაუკრა ტაში, იმას მიეცეს ჩემი ცოდვა!

— ღრუტ, ღრუტ! — მხოლოდ ეს მესმის. ახ, შე საძაგელო ბიჭო!

გამოვიდა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა. ერთმა მათგანმა ოთხი ჯაზ-სიმღერა შეასრულა, ოთხივე „აფრიკანულ" ენაზე.

თავი კიდევ უფრო ამტკივდა... არა, აღარ მოვუსმენ, გადავიხურავ თავზე საბანს. რაკი ტელევიზორის გამორთვა არ შემიძლია, მე თვითონ გამოვეთიშები.

მაგრამ დაიცათ! აგერ ერთი გოგონა შემოვიდა სცენაზე. ტელეეკრანმა გოგონა ფართო პლანით მიჩვენა. რა წარმტაცი გოგონაა! ნეტა ჩემი შვილი იყოს... აი ვინ მიმღერებს და მომარჩენს!

იცი რა მიმღერე, შვილიკო? მიმღერე „მახსოვს პირველად სასწავლებელში". წარმოდგენილი მაქვს რა მშვენიერად გამოვა ორკესტრთან ერთად... არ გახსოვს? მაშ კარგი, მიმღერე „ცეცინათელა".

იცი, გოგონა, რა ქნა მოსკოვში ჩვენმა „ცეცინათელამ"? ახლავე გაიგებ, (იქნებ ცოტა მოგეხიბინდე!).

ამ რამდენიმე წლის წინათ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დროს მოსკოვს ეწვია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის თვითმოქმედი ანსამბლი. მოსწავლეებმა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს მუშათა კლუბში, რომელიც ორიათასზე მეტ მაყურებელს იტევს.

გაიხსნა ფარდა. სცენაზე გამოჩნდა ლამაზად განლაგებული ასამდე ქალი და ვაჟი. ჩამოჰკრეს გოგონებმა ჩონგურს და ანსამბლმა მხოლოდ ორიოდე სიტყვის წამოღერება მოასწრო. ეს სიტყვები იყო „ჩემო ცეცინათელა"... უეცრად ტაშმა იგრიალა. ორიათასზე მეტმა მაყურებელმა წინასწარ ოვაცია გაუმართა ნაცნობ მელოდიას და ქართველ ქალ-ვაჟებს. ჯერ ქართულად იმღერეს, — შემდეგ რუსულად.

რაც ამის შემდეგ მოხდა, ძნელი ასაწერია. მაყურებლები ტაშისცემით წამოდგნენ. ისინი ყვიროდნენ: „გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართულ მუსიკას, გაუმარჯოს [illegible]!"

ტანში ახლაც ჟრუანტელი მივლის, როცა ეს ამბავი მომაგონდება...

ჰო და, ახლა შენც ის წუთები გამახსენე კარგო გოგონავ.

გოგონამ დიქტორს რაღაც წასჩურჩულა. დიქტორმა ვერაფერი გაიგო.

— ა, რა სთქვით, რას იმღერებთ? — ეკითხება იგი ჩურჩულით გოგონას, რომელიც უმღერებს, რომ მღერასაც აპირებს. დიქტორმა ჯერ ახლა გაიგო და ასე გამოაცხადა: „მე-მ კლასის მოწაფე თინა მშვენიერაშვილი შეასრულებს იმ ჯაზ-სიმღერებს, რომლებსაც მღერიან ახალი ზელანდიის და [illegible] ნახევარკუნძულზე, აგრეთვე პორტუგალიაში და იმას იქითაც"...

იგრიალა ორკესტრმა და გოგონამ წამოიწყო:

— ოო, იო კეე იაო ბრუვე,
აია მივა ჩერბით ბეე...

— ეხლა მაკლდა.

ის ღამე კოშმარულ სიზმრებში გავატარე. ვითომ ვიღაც თავში კიმბალს მირტყამდა და თან მღეროდა: ახ, მეჰ, მეჰ, ახ, ბრახ-ბრუხ! მერე კიდევ ერთი თავზე თმა ამიდგინა [illegible] ცანცარით და პირდაპირ ყურში ჩამძახოდა: „ბეე, მეე".

ოჰო, რა საზიზღარი სიზმრები იყო! (ნეტა ისიც სიზმარი ყოფილიყო ტელევიზორში რომ მაჩვენა).

ნუთუ ვინმეს ხელოვნებად, თუნდაც თვითმოქმედ ხელოვნებად მიაჩნია გრამფირფიტებიდან გადმოწერილი ჯაზ-სიმღერების თუთიყუშივით დაზეპირება?

უცხოელებიც ასრულებენ ქართულ სიმღერებს, მაგრამ ქუჩებში მოსმენილ „ჯანტიკო-ტიკოს" კი არა, ან კიდევ „მე მიყვარხარ აგრაფინა, შემოგევლოს გაბრიელი", — არამედ გულის დამატკბობელ ქართულ მელოდიებს, ჩვენი კომპოზიტორების ბრწყინვალე ნაწარმოებებს.

ცნობილი ბერძენი მომღერალი ქალი იოვანა ასრულებს რევაზ ლაღიძის „სიმღერას თბილისზე". წარმოდგენილი მაქვს, რა საზიზღრობა იქნებოდა, რომ ასრულებდეს: „ბებია მყავდა პოვარი"...

ახალი წელი დადგა. ღმერთო არავის [illegible], კიდევ არ მომასმენინოს ზემოდმოხსენებული „ბრახა-ბრუხები და ჩერბით ბებები", თორემ საშინელ საქმეს ვიზამ.

— რას იზამ?

— ტელევიზორს გამოვთიშავ, სხვა რა შემიძლია!

გ. ქელბაქიანი

განიხილეს ახალგაზრდების ნაწარმოებები

ამ დღეებში საინტერესო საუბარი გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში. აქ ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის კომისიამ მოაწყო „ნაკადულის" მიერ გამოცემული ახალგაზრდა მწერლების კრებულის განხილვა. ეს კრებული რიგით მესამეა, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთა და პოეტთა ნაწარმოებები.

მოხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი ნ. ხზიძე. მან დაწვრილებით ილაპარაკა წიგნში შესულ რამოდენიმე ავტორის ლექსებსა და მოთხრობებზე. ბევრ მათგანს კარგი შეფასება მისცა და, ამავე დროს, გამოთქვა საყურადღებო კრიტიკული შენიშვნები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ო. პაჭკორიამ, გ. შათირიშვილმა და ლ. სტურუამ.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. მეტრეველი.

„ლიტერატურნაია გრუზია" № 1

ჟურნალის იანვრის ნომერში დაბეჭდილია რ. მარგიანის ლექსები (თარგმანი ა. გლიზერისა), ს. კლდიაშვილის „ფერფლის" მეორე წიგნის დასაწყისი (თარგმანი კ. კორინთელისა), ფ. ხალვაშის „ლირიკის წიგნიდან" (თარგმანი ს. კუნიაევისა), შ. ამისულაშვილის ლექსები (თარგმანი დ. მარკიშისა), მ. ელიოზიშვილის „პაპა სიმონი" (მოთხრობა, თარგმანი მ. როდკინისა), ა. თევზაძის ლექსები (თარგმანი ა. დავიდოვისა), კ. წერეთლის წერილი „ფილმი, რომელიც არ იქნა გადაღებული", მ. შოლოხოვისა და ნ. შენგელაიას კინოსცენარი „გატეხილი ყამირი", ლ. ბრაილოვსკაიას ნარკვევი „მიწისქვეშა ტრასების გამთხრელები".

განყოფილებაში — „ოქტომბრის ნახევარი საუკუნე" — დაბეჭდილია გ. მარგველაშვილის წერილი „პოეზია და რევოლუცია" (დასაწყისი). პუბლიცისტიკისა და კრიტიკის განყოფილებებში გამოქვეყნებულია მ. სტურუას და გ. ნატროშვილის წერილები, განყოფილებაში — „ჩვენი ინტერვიუ". — „გამოცემა 1965 წელს", „გამოვა რუსულ ენაზე" და „ანა ახმატოვასთან".

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო"

აკაკი გეწაძე
ყარამან ყანთელი

აკაკი გეწაძე — ყარამან ყანთელიძე. (წუთისოფლის კრიალოსანი). ამ იუმორისტულ-სათავგადასავლო ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ქართული ხალხური ამბები და ასახავს ოქტომბრის რევოლუციამდელ ცხოვრებას. წიგნის რედაქტორია ილ. ხონთარია, მხატვარი — ა. სარჩიმელიძე, შეიცავს 582 გვერდს და ღირს 1 მანეთი და 19 კაპ.

ზურაბ ლორთქიფანიძე — ლურჯი ექსპრესი. (ლექსები, პოემა). რედაქტორი — შ. ფორჩხიძე, მხატვარი — გ. ქუთათელაძე. გვ. 72, ფასი 19 კაპ.

დ. რამიშვილი — კოტე აბაშიძე. (მონოგრაფია). რედაქტორი — დ. გამეზარდაშვილი, მხატვარი — ჯ. ყაველაშვილი, გვ. 244, ფასი 64 კაპ.

„ნაკადული"

მარიჯან — ნელი ცირკში. (პოემა). რედაქტორი — რ. ინანიშვილი, მხატვარი — ე. ბერძენიშვილი, ფასი 22 კაპ.

ხუტა ბერულავა — ამბავი თბილისის დაბადებისა. (პოემა) რედაქტორი — მ. ამაშუკელი, მხატვარი — ლ. ცუცქირიძე, ფასი 32 კაპ.

„ხალხური სიბრძნე" ტომი III. (თქმულებები და ლეგენდები, ე. ვირსალაძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით). გვ. 298, ფასი 91 კაპ.

იური ნაგიბინი — ექო (მოთხრობები, მთარგმნელი — შ. ავიაშვილი). რედაქტორი — ა. სულაკაური, მხატვრები — დ. ღუნდუა, ნ. მალაზონია. გვ. 104, ფასი 16 კაპ.

ვასილ აქსიონოვი — კოლეგები. (მოთხრობა, თარგმანი თ. ჩიქავაძისა). რედაქტორი — ნ. ლორთქიფანიძე, მხატვრები — ნ. მალაზონია, დ. ღუნდუა. გვ. 234, ფასი 58 კაპ.

„ცოდნა"

დავით ლორთქიფანიძე — იან ამოს კომენსკი. (მონოგრაფია). გვ. 504, ფასი 1 მანეთი და 8 კაპ.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ზ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ა. [illegible], ეკ. კარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 60449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 14, ტელეფონი — 3-47-10. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05437